საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი 4 აგვისტო 1920 წ.

ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი. მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 200 მანეთი ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 174 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 174

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

გულდაწყვეტილნი მეუღლე დავით პეტრეს ძე ლუკაშვილი, დედა ეკატერინა სოლომონის ასული დავითაშვილისა, დაობლებული პატარა შვილები: თამარა და ტურფა, დედამთილი ანნა სოლომონის ასული ლუკაშვილისა, მულები: ნატალია პეტრეს ასული დათიკაშვილისა, ნინა პეტრეს ასული კიკვიძისა, ოლღა პეტრეს ასული თურქაძისა ქმარშვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მიმდინარე თვის ხუთს, ხუთშაბათს, სოფ. ხიდისთავში, გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის

ელენე კონსტანტინეს ასულის ლუკაშვილის

სულის მოსახსენებლად. (კვ. 2516 2—1)

სამუდამოთ გულ მოკლული იაკობ სვიმონის ძე და ეკატერინე იაკობის ასული საღარაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი და დაუვიწყარი შვილისა და მეორე ერთად-ერთი ნუგეში დის

ვერა საღარაძისა

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა ოთხშაბათს, აგვისტოს 4 ს, საღამოს 5 საათზე, ხონის მაცხოვრის ეკლესიაზე. (2541—1—1)

---

9 მარიამობისთვიდან ტფილისში გამოვა

ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„სოფლის მუშა"

ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

გაზეთი გამოვა ორშაბათობით

მასალები უნდა გამოგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის" სახელზე—ტფილისი, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშისათვის".

სარედაქციო კოლეგიაში შედიან:
ალ. ლომთათიძე.
ივ. გომართელი.
სტ. ელიაძე.

საყურადღებოთ.

დავით იაგორის ძე

კალანდაძე

აცხადებს

რომ სავაჭრო სახლის

ძმ. სეილანოვების

რექტიფიკაციის ქარხანა, კონიაკის, არყის და ლიკიორების გადმოვიდა მის ხელში საკუთრებად 1 აგვისტოდან და ახლო მომავალში ნაწარმოები გამოვა თავის საკუთარის ფირმით. ვაგზლის ქუჩა, № 5, სახლი სომხის სასულიერო სემინარიისა. (2513—6—2)

პირველი სახელმწიფო სანატორიუმი ბორჯომში

მოთავსებულია დიდს სასახლეში და გაიხსნება 10—15 აგვისტოს **კუჭის, ნაწლევთა, ღვიძლის, თირკმელების და ნივთიერებათა მიმოცვლის** ავადმყოფთათვის, რომელნიც საჭიროებენ **ბორჯომის წყლით** წამლობას.

კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევანი და წამლობა პროფესორთა და ასისტენტთა ხელმძღვანელობით.

საწოლები დაეთმობათ სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციებს და პროფესიონალურ კავშირების წევრებს.

ათი საწოლი ეთმობა კერძო პირთ.

თვიური ფასი საწოლისა (კვებითა და წამლობით)—11.000 მან. ორგანიზაციებისათვის და 15.000 მან. კერძო პირთათვის.

ორგანიზაციებმა უნდა მიმართონ განცხადებით 7 **აგვისტომდე**.

წინასწარი ცნობების მიღება შეიძლება სანატორიუმის დირექტორთან ექ. მ. ზანდუკელთან 5—7-მდე, (ტელეფ. 9—31) ანასტასიას ქ. № 13. (2523--2--1)

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

თხოვნები მიიღება ყველა ფაკულტეტებზე (სიბრძნისმეტყველების, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო)

20 ივლისიდან 1 ენკენისთვემდე.

1) **სიმწიფის**, 2) **მეტრიკული**, 3) **სამხედრო** ბეგარასთან დამოკიდებულების **მოწმობები**, 4) ერთი შემოწმებული ფოტოგრაფიული **სურათი** საქმეებში ჩასაკრებლად და ერთი სემესტრის, სწავლის ფული—200 მანეთი. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა აღნიშნონ თხოვნაში თუ რომელ განყოფილებაზე სურთ (სამათემატიკო, საბუნებისმეტყველო და საგრონომიო). მიღებულთა **სია** გამოკრული იქნება უნივერსიტეტში 15 ენკენისთვიდან. ამ რიცხვიდან შეიძლება სტუდენტთა ლექციებზე ჩაწერის და სხვა წესების მიღება.

(2540—3—1) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **გამგეობა**.

სახალხო გვარდიის

მთავარ შტაბის მომწყობი განყოფილება აცხადებს კონკურსს მემანქანის ალაგზე (რემინგტონისტკა).

კონკურსი დანიშნულია ა. წ. 8 მარიამობისთვის დილის 10 საათზე.

პირობების გაგება შეიძლება მომწყობ განყოფილებაში (საპიორის ქუჩა, მთავარ შტაბი). (2535—2—1)

თელავის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან თელავის წმ. ნინოს გიმნაზიასთან არსდება სამასწავლებლო წლიური კურსები. კურსებზე მსმენელად მიიღება 4 კლ. კურს დამთავრებული. მსურველებმა თხოვნა საბუთებით უნდა გამოგზავნონ სამაზრო ერობის სასკოლო განყ. სახელზე არა უგვიანეს 10 სექტემბრისა.

თელავის ერობის გამგეობა. (2537—3—1)

„წითელი" ადერბეიჯანი არ ცხრება

ცნობილია, რომ იმ მთავრობას, რომელსაც თვით ბალშევიკებმა „ბეგ-ხანების მთავრობა" უწოდეს, მახლობელ მიზნათ დასახული ჰქონდა ყარაბაღ-ზანგეზურის დაჭერა, სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ თათრების აჯანყება, სომხეთის გასრესა და ანატოლიის პან-ისლამისტებთან გაერთიანება. საქართველოს მხრივ სულთანოვების პოზიცია ჯერ-ჯერობით არ იყო აშკარათ თავდამსხმელი; მათი ყურადღება სომხეთის წინააღმდეგ იყო მიპყრობილი და საქართველოსთან მშვიდობიან ურთიერთობის დაცვას არჩევდენ. მიუხედავათ ამისა „ბეგ-ხანების" მახლობელი პოლიტიკური მიზნები საქართველოს მიმართ სრულიად აშკარა იყო: მათ უნდოდათ ადერბეიჯანის საზღვრებში შეეტანათ საქართველოს ტერიტორიის ყველა ის ნაწილები, რომლებიც მუსულმანებით იყვნენ დასახლებული: ზაქათალა, ბორჩალო. სიღნაღის მაზრის სამხრეთი და ნაწილი თფილისის მაზრისა.

სულთანოვებს და „ბეგ-აღალარების" მთავრობა სრულიად უნიადაგო გამოდგა და როგორც კი კომუნისტების ჯარი გამოჩნდა ადერბეიჯანის ცის ტატნობზე, იგი დაეცა, ვითაარცა თოვლი, კომუნისტები შევიდნენ ბაქოში დიდის ზეიმით და უფრო დიდის დაპირებებით იმის შესახებ, რომ მათი პოლიტიკა იქნება წმინდა „მუშურ-გლეხური", რომ მას არაფერი საერთო არ ექნება ბეგ-ხანების" პოლიტიკასთან, რომ კომუნისტურ „წითელ" ჯარს თავის ხიშტების წვერებზე მოაქვს არა ერთა შორის მტრობა-სიძულვილი, არამედ მათი შეთანხმება-შერიგება.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ბაქოში და ადერბეიჯანში ფეხ-მოკიდებულ კომუნისტებს საგარეო პოლიტიკაში სრულებით არაფერი შეუცვლიათ შედარებით იმ პოლიტიკასთან, რომელსაც მათ მიერ ჩამოგდებული სულთანოვები აწარმოებდენ ადერბეიჯანში. ბალშევიკები სულთანოვების მორჩილი შეგირდები გამოდგენ და ფეხ-და-ფეხ მისდევენ იმ მიზნებს, რომლებიც დასახული ჰქონდათ სულთანოვებს. ცვლილება, თუ გნებავთ, მარტო იმაში გამოიხატება, რომ კომუნისტები უფრო მარჯვეები გამოდგენ პან-ისლამისტების გეგმის განხორციელებაში, ვიდრე სულთანოვები, რომლებსაც სამხედრო ძალის სიმცირე და ჯარის უდისციპლინობა ისე ასუსტებდა, რომ ყარაბაღ-ზანგეზურში ფეხის შედგმაც ვერ მოახერხეს.

სულთანოვების სამხედრო გეგმის განხორციელება თავს იდვეს „წითელი" ჯარების გენერლებმა. ყარაბაღის სომხები უკვე მორჩილებაში მოიყვანეს. ზანგეზურში ამ ჟამად საომარი მოქმედება სწარმოებს. „წითლების" ყაზახის მაზრიდან სომხეთის ჯარის ნაწილებს აწვებიან. სომხეთის შიგნით მუსულმანი მცხოვრებთა აჯანყება ისე გაძლიერებულია, როგორც არას დროს. აღსანიშნავია, რომ ამ აჯანყებას ორ მხრივ უჭერენ მხარს: ერთის მხრით, „წითელი" აზერბეიჯანი ამაში ხედავს კომუნისტურ იდეალის გამარჯვებას, მეორეს მხრით, ანგორიდან მოსული დეპეშები ამ აჯანყებას სთვლიან ქემალ-ფაშის სამხედრო მოქმედების ერთ-ერთ ფრონტად. ასე და ამგვარად სომხეთის მიმართ „წითელი" აზერბეიჯანი ახორციელებს ისევ იმ პროგრამას, რომელიც დასახული ჰქონდა პან-ისლამისტების ადერბეიჯანს.

საქართველოს მიმართაც „წითელმა" ადერბეიჯანმა გამოიჩინა ასეთივე შეგირდული მორჩილება პან-ისლამისტური ადერბეიჯანისადმი. ადერბეიჯანში მოსვლისათანავე „წითელი" ჯარები მაშინვე შემოიჭრნენ საქართველოს იმ ნაწილებში, რომლებშიაც მუსულმანობა ცხოვრობს და რომლებშიაც დიპლომატიური მოსაზრებით ვერ ბედავდა ჯერ-ჯერობით შემოჭრას სულთანოვების ადერბეიჯანი. საქართველოს საზღვრებიდან თავპირის მტვრევით უკუქცეული „წითელი" ადერბეიჯანი იძულებული გახდა ზავი შეეკრა. მიუხედავათ ამისა მას მაინც გული არ უთმენს და იგი ბავშვივით ააშკარავებს თავის მომავალ წადილებს. ასეთ სულწასულობის აქტათ უნდა ჩაითვალოს გენ. ლევანდოვსკის „წითელი" ჯარების შეჭრა ზაქათალის ოლქში, მიუხედავათ იმისა, რომ ამ ოლქის საკითხის გადაწყვეტა განსაკუთრებულ კომისიას აქვს მინდობილი. ასეთივე მოუთმენლობის და სულწასულობის აქტია „წითელი" ჯარების მოგროვება, რომელიც უკანასკნელი ცნობებით აქსტაფის რაიონში ხდება და რომელმაც საქართველოს გარეშე საქმეთა სამინისტროს მხრით დიპლომატიური პროტესტი გამოიწვია.

ამგვარათ, მიუხედავათ საბჭოთა რუსეთთან შეთანხმებისა, მიუხედავათ იმ ზავისა, რომელიც საქართველომ „წითელ" ადერბეიჯანთან შეჰკრა, ადგილობრივი კომუნისტები მაინც არ ცხრებიან, მაინც თავს არ ანებებენ თავდასხმითს პოლიტიკას სომხეთის მიმართ, მიუხედავათ იმისა, რომ მასთან საზავო მოლაპარაკება აქვს, და სამხედრო მზადებას საქართველოს მიმართ, მიუხედავათ იმისა, რომ მასთან უკვე ზავი აქვს შეკრული.

საეკონომიო-საფინანსო წერილები

II

კომუნა და მოქალაქე

მოწინავე სახელმწიფოთა ბიუჯეტში უმთავრესი ადგილი უჭირავს თვითმართველობათა ბიუჯეტს. ამიტომ საჭიროა გადასახადთა სისტემებთან ერთად განვიხილოთ სახელმწიფო და თვითმართველობათა ბიუჯეტების ურთიერთობა და შემდეგ ის ეკონომიური ნიადაგი, რომელზედაც უნდა დაეყრდნოს სახელმწიფოს სალი ფინანსიური პოლიტიკა.

საბიუჯეტო უფლების საკითხის გარჩევის დროს საჭიროა წინასწარ იქნეს გამორკვეული, გადასახადების რომელი ობიექტები უნდა გადაეცეს თვითმართველობას. გადასახადთა ობიექტების განაწილება სახელმწიფოს და თვითმმართველობათა შორის კი თავის მხრივ გულისხმობს მათი ფუნქციების სხვადასხვაობას. მეცნიერება ვერ ხედავს თვითმართველობასა და სახელმწიფოს მოღვაწეობის შორის არსებით განსხვავებას.

მათ შორის ფუნქციების განაწილება დაახლოვებით შემდეგია. კომუნათა ცენტრები—პარლამენტი და მთავრობა—უფრო პოლიტიკურ მოვალეობათა და უფლებათა მატარებელია, თვით კომუნის მოღვაწეობა კი, თუმცა პოლიტიკურ ხასიათს არ არის მოკლებული, მაგრამ უმთავრესად ის ხელმძღვანელია სახალხო მეურნეობის და ერის სოციალ კულტურულ საქმეებისა. თვითმმართველობათა სამეურნეო მოღვაწეობას მიზნათ დასახული აქვს მთელი საზოგადოების საერთო პირობათა გაუმჯობესება; ამიტომ, როდესაც თვითმმართველობას გაყავს ახ ლი ქუჩები, წყალსადენი, კანალიზაცია, განათება, როდესაც იგი აძლიერებს და აუმჯობესებს მიმოსვლის საშუალებას, ხსნის ახალ სკოლებს, საავადმყოფოებს და სხ., ე. ი., როდესაც ის ქმნის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ყველა მცხოვრებთათვის სასარგებლო პირობებს, ყოველი მოქალაქე მოვალეა მისცეს კომუნას ამ მიზნების მისაღწევად საჭირო საშუალება და აუნაზღაუროს მას გაწეული ხარჯები; მაგრამ როდესაც ერთი ნაწილი ქალაქის მცხოვრებთა უფრო მეტს სარგებლობას ხედავს ახალ ღირებულებათა შექმნით, ვიდრე დანარჩენი მცხოვრებლები, როდესაც კომუნის მოღვაწეობის შედეგია ის, რომ ქალაქის რომელიმე ნაწილში შენობის ფასი და ქირა და მიწის ფასი იზრდება,—რაც დაუმსახურებელ ღირებულებას და მოგებას აძლევს მესაკუთრეს,—მაშინ, ამ მესაკუთრემ კომუნას ზედმეტი გადასახადი უნდა შეუტანოს. საერთო პირობათა გაუმჯობესებით, მისვლა-მოსვლის გაადვილებით ქალაქში მცხოვრებთა რიცხვი სისწრაფით იზრდება, და ეს ზრდა ხელს უწყობს მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. ამ გარემოებით კი როგორც შრომის დამქირავებელი, ისე მემამულე და ვაჭარ-მრეწველი სარგებლობენ. კარგი ქუჩა, იაფი მიმოსვლის საშუალება, სუფთა წყალი, წესიერათ დაყენებული სანიტარია, სკოლების ფართო ქსელი და სხვ. ყველასათვის სასარგებლოა, მაგრამ მესაკუთრე, მემამულე და ვაჭარ-მრეწველი ამ საერთო სარგებლიანობის გარდა იგებენ კიდევ იმით, რომ კარგი ქუჩები იაფი მიმოსვლის საშუალება, სკოლათა რიცხვის სიმრავლე და სხვა ადიდებს მათი შენობების, მამულის, სამრეწველო დაწესებულებათა ღირებულებას, შემოსავალს. მაშასადამე ეს მესაკუთრე—მრეწველნი ვალდებულნი არიან თავის თავზე მიიღონ განსაკუთრებული მოვალეობა და კომუნას გადასახადის სახით იმდენათ მეტი მიუზღონ, რამდენადაც სხვებზე მეტად ისინი სარგებლობენ კომუნის მოღვაწეობით.

თვითმართველობა და სახელმწიფო—ორივე აუცილებელი, საჭიროა მოქალაქეთა არსებობისათვის, ორივე ქმნიან პირობებს ხალხის კულტურული არსებობისა. ამიტომ, თუ სახელმწიფოს აქვს მოქალაქის დაბეგვრის უფლება—ასეთივე უფლება უნდა ჰქონდეს კომუნას მის ტერიტორიის ფარგალში მოქცეულ მოქალაქეთა მიმართ. კომუნის უფლება თავის გამართლებას პოულობს იმავე პრინციპებში, რომლებიც სახელმწიფო დაბეგვრას ედება საფუძვლად.

III

დაბეგვრის პრინციპები.

არსებული დაბეგვრის სისტემები უმთავრესად დამყარებულია სამსახურ-სამაგიეროს პრინციპზე და მოქალაქის ხარჯ-გადახდის უნარიანობაზე. სამსახურ-სამაგიეროს პრინციპის თვალსაზრისით გადასახადი არის სახელმწიფოს მიერ მოქალაქისათვის გაწეულ სამსახურის საზღაური. რაც მეტ მოგებას და სარგებლობას ხედავს მოქალაქე სახელმწიფოსაგან, მით მეტი გადასახადი უნდა გაიღოს მან. ამგვარად სამსახურ-სამაგიერო პრინციპი გულისხმობს შემდეგს: მოქალაქემ პროპორციონალურად იმდენათ მეტი უნდა გადაუხადოს კომუნას, რამდენათაც მას კომუნამ თავისი მოღვაწეობით მეტი სამსახური გაუწია.

ხარჯ-გადახდის უნარიანობის პრინციპი კი გადასახადების განაწილების საზომათ უნდა იყოს არა იმ სარგებლის რაოდენობა, რომელიც სახელმწიფოს ან კომუნის მოქმედებამ მოუტანა ამა თუ იმ მოქალაქეს, არამედ მოქალაქის ხარჯ გადახდის უნარიანობა. ამ თვალსაზრისით გადასახადის განაწილება მხოლოდ მაშინ იქნება სამართლიანი, როდესაც ამ განაწილებას საფუძვლათ ექნება სოციალური სამართლიანობა და მასთან შეთანხმებული პროგრესიული დაბეგვრა, ე. ი., როდესაც მოქალაქეზე გაიწერება პროგრესიულად იმდენათ მეტი გადასახადი, რამდენათაც მეტი შემოსავალი აქვს მას. ამ ორ პრინციპს შორის,—ე. ი. სამსახურ-სამაგიეროობის და ხარჯთ-გადახდის უნარიანობის შორის,—არსებითი წინააღმდეგობა არ არის, და უკანასკნელ ხანებში თუ სახელმწიფოს გადასახადების განაწილებაში მთავარი როლი ხარჯ-გადახდის უნარიანობის პრინციპს აქვს დათმობილი,—სამსახურ სამაგიეროს პრინციპს მაინც ფართო ასპარეზი ეკუთვნის ადგილობრივ თვითმართველობათა ბიუჯეტში, რადგანაც კომუნის მოღვაწეობას განსაკუთრებით სამეურნეო ხასიათი აქვს და მისი მოქმედებით გადიდებული ზოგიერთი მოქალაქეთა შემოსავალი უფრო ხელშესახები და თვალსაჩინოა. სამსახურ-სამაგიერო პრინციპზე დამყარებულ გადასახადებში შედის ეგრედ წოდებული რეალური გადასახადები.

IV.

რეალური გადასახადები.

ნიშანდობლივი თვისება რეალურ გადასახადებისა იმაში მდგომარეობს, რომ ამ გადასახადით იბეგრება ფიზიკური ან იურიდიული პირის არა საერთო შემოსავალი, არა საერთო ჯამი მისი ყველა შემოსავლისა, არამედ იბეგრება ცალ-ცალკე თვითეული წყარო მისი შემოსავლისა. ამ გადასახადებს აქვს დამოკიდებულება არა პიროვნებასთან, არამედ მის ქონებასთან, ქონების ღირებულება-შემოსავლიანობასთან. პატრონი იცვლება, მაგრამ ქონება რჩება, და ამ ქონებაზე დამყარებულ გადასახადს ნიადაგი არ ეცვლება, ამ გადასახადს ნორმალურ პირობებში ურყევი საფუძველი აქვს, და ამიტომ ამ გადასახადს ეწოდება რეალური გადასახადი.

რეალური გადასახადები შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფათ: საადგილ-მამულო გადასახადი, გადასახადი შენობებზე, სარეწავო გადასახადი და გადასახადი ფულის თანხებზე. თვითმმართველობათა მოღვაწეობასთან განსაკუთრებით დაკავშირებულია პირველი სამი გადასახადის ობიექტები. საადგილ-მამულო გადასახადით იბეგრება ადგილ-მამულის ყოველნაირი შემოსავალთა ჯამი.

თუ გავითვალისწინებთ კომუნათა მოღვაწეობას. აშკარა იქნება, რომ ადგილ-მამულის ღირებულების ლონე მჭიდროთ დაკავშირებულია თვითმმართველობათა მოღვაწეობასთან. უმეტეს შემთხვევაში ქალაქის მიერ მიღებული სამეურნეო და საკულტურო ზომები, როგორც, მაგალითად, ახალი ქუჩებისა და ტრამვაის ხაზების გაყვანა, წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის გავრცელება, სკოლათა და საავათმყოფოთა რიცხვის გამრავლება და სხვა მესაკუთრეთაგან სრულიად დამოუკიდებლად იწვევენ ქონების, როგორც ღირებულების, ისე შემოსავლიანობის ზრდას. ამიტომ მიუხედავათ იმისა, თუ როგორ გამოიყენა კერძო შემთხვევაში ამა თუ იმ მესაკუთრემ კომუნის მოღვაწეობა, კომუნა სამართლიანად მოსთხოვს ყველა მესაკუთრეს სამაგიეროს, ე. ი. ხარჯთა ანაზღაურებას და რაც გაკეთდა, იმის მოსავლელად საჭირო ფულის კომუნის სალაროში შეტანას. საადგილ-მამულო გადასახადის ნორმების დასაწესებლათ საჭიროა გამორკვეულ იქნეს არა ფაქტიური შემოსავალი მესაკუთრისა, არამედ მას ადგილ-მამულის შესაძლებელი საშუალო შემოსავალი, ე. ი. გადამხდელის პირადი გარემოებები აქ მხედველობაში მიღებული არ იქნება. ამით განირჩევა ეს გადასახადი, როგორც დანარჩენ რეალური გადასახადებისაგან, ისე შემოსავლის კვალობაზე გადასახადისაგანაც.

გადასახადი შენობებზედ ეხება როგორც საცხოვრებელ სახლებს, ისე ყოველგვარ სხვა შენობებს მცირეოდენის გამოკლებით. რაც შეეხება შენობებზე გადასახადს, მის შესახებ უნდა ითქვას იგივე, რაც ითქვა ადგილ-მამულზე გადასახადის თაობაზე, ვინაიდან შენობის შემოსავლიანობა და ღირებულება მჭიდროთ დაკავშირებულია თვითმართველობის მოღვაწეობასთან.

სარეწავი დაბეგვრა ეხება მრეწველობას ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით და აგრეთვე ყოველგვარ სავაჭრო, სატრანსპორტო, საკომისიო, საბანკო, სააგენტო და დამზღვეველ დაწესებულებებს, სატრაქტირო საქმეს და სხ. ამ გადასახადით იბეგრება აგრეთვე ზოგიერთი სასოფლო მეურნეობასთან დაკავშირებული საქმე, როგორც მაგალითად ლუდისა და არაყის ხდა. ეს გადასახადი ცდილობს დაბეგროს წარმოების ნამდვილი შემოსავალი; მაგრამ ნამდვილი შემოსავლის რაოდენობის გამორკვევა მეტისმეტად ძნელია, რადგან ამ გადასახადის ობიექტები მეტისმეტად მრავალ ფეროვანია და ხშირად ისინი კონსტრუქციით და წარმოების ნაყოფიერებით თუმცა არიან თანასწორნი, მაგრამ თანასწორ მოგებას არ იძლევიან. ეს უთანასწორობა დამოკიდებულია სხვადასხვა მიზეზებისაგან, რომელთა შორის საყურადღებოა, თუ საიდან—შორიდან თუ ახლოდან—მოაქვს მრეწველებს მასალა, შორს თუ ახლოს აქვს ბაზარი, როგორია სატრანსპორტო პირობები, არიან თუ არა სპეციალურ მუშაობას შეჩვეულნი მუშები და სხ..

სარეწავი მოგება, როგორც შედეგი პირადი შრომისა და კაპიტალის თანამშრომლობისა, შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან: პირადი შრომის საზღაურისა, კაპიტალის პროცენტისა და საწარმოო მოგებისაგან. მრეწველობაში სხვადასხვა მიზეზის გამო ხან ერთი ამათგანი იჩენს თავს ხან მეორე, მაშასადამე, გადასახადის საერთო სამართლიანი ნორმების დაწესება ძალიან ძნელია. თანამედროვე კანონმდებლობა სარეწავი გადასახადის ნორმების საზომათ იღებს ძირითადი და გადასტრიალებელი კაპიტალის რაოდენობას ან წარმოების სიდიდეს. უკანასკნელი ნიშანის მიხედვით წარმოებები იყოფებიან ჯგუფებათ და ყოველი ჯგუფისთვის ისაზღვრება მინიმალური ნორმა გადასახადისა საშუალო მომგებიანობის კვალობაზე. გარდა ამისა ადგილობრივი ხასიათის წარმოებანი, ე. ი. წარმოებები, რომელთა მომგებიანობა მჭიდროთ დაკავშირებულია ადგილობრივ პირობებთან, იბეგრებიან მათი სამოქმედო ტერიტორიის დასახლებულობის მიხედვით.

უკვე აღნიშნულია, რომ ქალაქებში უძრავი ქონების შემოსავლიანობისა და ღირებულების ზრდის უმთავრესი და აუცილებელი პირობა არის ქალაქის თვითმართველობის მოღვაწეობა. ასეთივე ურთიერთობაა თვითმართველობის მოღვაწეობათა და ვაჭრობა მრეწველობის განვითარების შორის. იაფი და სწრაფი მიმოსვლის საშუალებები, საკულტურო დაწესებულებათა სიმრავლე, სკოლათა და საავათმყოფოთა ფართო ქსელი და სხვა ამ გვარი პირობები თავის-თავად დიდ სამსახურს უწევენ ვაჭრობა-მრეწველობას, უფართოვებენ მას ბაზარს. გარდა ამისა განვითარებული ვაჭრობა-მრეწველობა აიძულებს კომუნას თანდათან მეტი ხარჯი გაიღოს მიმოსვლის საშუალებათა მოვლა-

დღეს

ვარშავიდან პარიზში მიღებული დეპეშით პოლონეთის და რუსეთის რწმუნებულნი ერთმანეთს შეხვდნენ მოსალაპარაკებლათ. ფრანგული ცნობით კი, ბალშევიკები განაგრძობენ შეტევას.

ბალშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარმა ბრესტ-ლიტოვსკი აიღო.

ოსმალეთის საზავო დელეგაცია ამ კვირაში მოაწერს ხელს საზავო ხელშეკრულებაზე.

სტამბოლის გაზეთების ცნობით ტრაპიზონის ვილაეტში ნაციონალისტები ბატონობენ.

საბჭოთა რუსეთის და მოკავშირეთა კონფერენციაზე ლონდონში მიწვეული იქნება იტალიაც.

შენახვისა და სანიტარიის საქმეებისათვის.

საერთოდ ნაციონალური მეურნეობის და კულტურის წინსვლის საქმეში მთავარი როლი ეკუთვნის თვითმმართველობებს, და ამიტომ კომუნათა გასავალში სამეურნეო და კულტურულ საქმეებზე ხარჯებს უჭირავს უპირველესი ადგილი.

რეალური გადასახადი თავის ობიექტათ იღებს ისეთ საგნებს, რომელთა ღირებულება იზრდება თვითმმართველობის მოღვაწეობის ზეგავლენით: მაშასადამე, ამ საგნებზე გაწესებული გადასახადები, როგორც პირდაპირი ნაყოფი თვითმართველობის უშუალო მოღვაწეობისა, აუცილებლად თვითმართველობასვე უნდა ეკუთვნოდეს.

დ. თოფურიძე.

დამფუძნებელი კრება

30 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

განგრძობა მსჯელობისა 1919—1920 წ. ბიუჯეტის შესახებ.

ი. ლორთქიფანიძე (სოც. რევ.) ჩვენ და მენშევიკებს ერთნაირად გვაქვს წარმოდგენილი ეკონომიური განვითარების პირობები. ჩვენი მთავარი მოთხოვნილება არის ის, რომ სახელმწიფომ თვით უნდა აიღოს ხელში წარმოება. ამასვე ამბობენ მენშევიკები, მხოლოდ ისინი სიტყვებს არ აქცევენ საქმედ. ამაში არის ჩვენი დავა. კერძო კაპიტალი არ მოვა ჩვენში იმ დროს, როდესაც ევროპაში დადგა ხანა სოციალურ გარდაქმნისა. ბურჟუაზია, პირიქით, ხელს უშლის წარმოების აყვავებას. როდესაც ჩვენ ხოველის რაიონში დავიწყეთ ნავთის დამუშავება, შეშინებული კაპიტალისტები ყოველივე ღონეს ხმარობდენ ხელი შეეშალათ ჩვენთვის. მთავრობა ვერ იჩენს საკმარის უნარს, რომ ალაგმოს სპეკულიანტები. გამრავლდა ჩვენში კერძო ბანკირთა კანტორები, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ ჩვენს რესპუბლიკას. ამ ბანკირების ალაგმვა დღის წესრიგში უნდა იქნას დასმული. სესხის აღების საკითხი საზღვარგარეთ არ ვიცით, როგორ მიმდინარეობს. ჩვენი ფინანსიური კომისია საზღვარგარეთ არ ვიცით, რას აკეთებს ამ მხრივ. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ არ შემოვიდეს ფუფუნების საგნები. მისი აკრძალვა არც ისე ძნელია. ფინანსთა მინისტრმა დაბეჭდა ბონები, რის უფლებაც არ ჰქონდა მიცემული კანტროლის მიერ. შემდეგ ორატორი ეხება განაპირა კუთხეებს და აღნიშნავს, რომ მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, მართვა-გამგეობა ისეთ პირთა ხელია, რომელთაც ნაკლებათ ესმით ადგილობრივ მცხოვრებთა ჭირ-ვარამი.

ქ. ანდრონიკაშვილი (სახელმწიფო კანტროლის ამხანაგი). ოპოზიციონერებს მარცხი მოუვიდათ, როდესაც 1919—1920 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს ემყარებოდენ ჩემს მოხსენებას, რომელიც შეეხება 1918—1919 წ. მთავრობის მოქმედებას. როდესაც აქ აღნიშნავდნენ—კანტროლმა ამა თუ იმ უწყებაში ესა თუ ის ნაკლი აღმოაჩინაო, ობიექტივობა მოითხოვდა აღენიშნათ კანტროლის მოხსენების ის ადგილებიც, სადაც ლაპარაკია უწყებების დადებითი მუშაობის შესახებ. ღლონტმა სთქვა: კონტროლიორი ოფიციალურ მოხსენებას აკეთებს აქ; მაგრამ აქვს მას კიდევ საიდუმლო მოხსენებები, რომელიც ბევრ დეპუტატისთვის საიდუმლოთ რჩება. თანახმად იმ დებულებისა, რომელიც მიღებულია დამფუძნებელ კრების მიერ, კონტროლიორი მოხსენებას აკეთებს წლის ბოლოს. შეუძლებელია—ყოველივე ბოროტმოქმედება მოხდება თუ არა,—კონტროლიორი მოვიდეს აქ და მოხსენება აკეთოს. ყოველივე დანაშაული, რომელიც აღმოჩენილი იქნება, უნდა ეცნობოს სათანადო უწყებას, რომელიც მოვალეა ახსნა-განმარტება მოგვცეს. მე მაქვს უფლება მთავრობის თავმჯდომარეს მოხსენებები გაუკეთო. თუ მთავრობის განმარტება დამარწმუნებს, რომ საქმე მოსასპობია, იგი მოისპობა, თუ არა და ეძლევა მას სათანადო მსვლელობა. როცა დავრწმუნდები, რომ საქმეს არ მიეცემა მსვლელობა, მაშინ მე მას მოვახსენებთ წლის ბოლოს ჩემს მოხსენებაში. ლორთქიფანიძის განცხადება, რომ მე თითქოს არ მიმეცეს ნება ფინანსთა მინისტრისათვის ბონების გამოცემისა, არ შეეფერება სიმართლეს. ფინანსთა მინისტრმა აღძრა შუამდგომლობა 200 მილ. მანეთის გამოცემის შესახებ, მაგრამ როდესაც დრო დადგა ბონების გამოცემისა, უკვე არ იყო საკმარისი 200 მილ. და 400 მილ. მანეთის ნება მივეცით (ადგილიდან: რა უფლებით?). მე ამის უფლება მქონდა. გახლავთ კანონი ბანკების შესახებ, სადაც არის მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ სახელმწიფო კანტროლიორს აქვს უფლება გამოუშვას ბონები, რომლის რაოდენობა უნდა უდრიდეს მთელი ოქროს მესამედ ნაწილს. სიტყვის დასასრულ კანტროლიორი აღნიშნავს ოპოზიციონერთა ორატორების სრულიად დაუსაბუთებელ გამოსვლებს, რომლებიც გაიძახიან—არ ისმის კანტროლის ხმაო. მათ ექნებათ საშუალება გამოვიდნენ კანტროლის წინააღმდეგ მაშინ, როდესაც ის წლის დასასრულ გააკეთებს მოხსენებას, საიდანაც დარწმუნდებიან, რომ კანტროლი სახელმწიფოებრივ თვალსაზრისზე სდგას.

ნ. ხომერიკი. (მიწათ მოქმედების მინისტრი). ოპოზიციამ საბიუჯეტო კამათი დააწვრილმანა. იმის მაგივრათ, რომ ბიუჯეტი განეხილათ, ისინი წვრილმან ფაქტებზე შეჩერდენ, მხოლოდ ღ. ღლონტმა სცადა პრინციპიალურად დაეყენებინა საკითხი, მაგრამ შემდეგში ასცდა და გადავიდა შრომის ხელშეკრულებაზე. მან სთქვა: ცუდი ფინანსები ცუდი პოლიტიკის შედეგი არისო. მაგრამ ისინი სრულიადაც არ შეეხენ მთავრობის პოლიტიკას. მათ მთავარ კითხვებს გვერდი აუქციეს, და სამაგიეროთ, ილაპარაკეს ერობებზე და სხვა ამგვარ საგნებზე. თუ არ ვარგა ჩვენი მთავრობის პოლიტიკა, გვაჩვენებდით თქვენი პოლიტიკის საფუძვლებს. ჩვენი ეკონომიურ პოლიტიკის დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ ხელი შევუწყოთ სახელმწიფოებრივ მეურნეობას და კერძო ინიციატივას არ ვდევნით. სახელმწიფო მრავალ მამულის პატრონია, რომელსაც თვით განაგებს და უვლის. მიწათ-მოქმედების სამინისტრომ არა ერთი და ორი მამული გადასცა თვითმართველობას, ეხმარება ფულით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სადაც კერძო ინიციატივა არის, რომელიც მოწადინებულია ააყვაოს მეურნეობა, ჩვენ მას ხელს ვუწყობთ, მთელი ჩვენი მეურნეობის ცხრა მეათედი კერძო ინიციატივაზე არის დამყარებული. და თუ გაიმეორებთ ბალშევიკურ ექსპერიმენტებს, მაშინ ადვილი წარმოსადგენია რასაც მივიღებთ. აქ თანდათანობით მოხდება წარმოების გასაზოგადოებრივება. თუ გინდათ კრიტიკა,—ამ პრინციპიალურ ნიადაგზე გამობრძანდით და მასზე შევჩერდეთ. რა მიიღეს ბალშევიკებმა ამ კერძო ინიციატივის მოსპობით, ამას თქვენ თვით ბალშევიკების გაზეთებიდან შეიტყობთ. ბალშევიკები ცდილობენ შესცვალონ დამოკიდებულება გლეხებისადმი. და იძულებული ხდებიან მოლაპარაკება აწარმოვონ ინგლისის კაპიტალისტებთან. ეკონომიური ცხოვრება მუშტით და რეკვიზიციით არ კეთდება. დავაარსეთ მომარაგების სამინისტრო, ვაძლიერებთ საზოგადოებრივ მეურნეობას. და თუ თქვენ სხვა თილისმა გაქვთ, გვიჩვენეთ და იქნება დაგიჯეროთ. მიწათ მოქმედების სამინისტროს დაკისრებული აქვს პირველი აგრარული რეფორმის გატარება, აგრიკულტურაზე ზრუნვა და სახელმწიფო ქონების მოვლა და ექსპლოატაცია. აგრარული რეფორმის გატარება დასრულდა. მიწები ყველგან ჩამორთმეულია და ფაქტიურად გლეხების ხელში გადავიდა. რაც შეეხება სიმტკიცის აქტის მიცემას, იმედია, ამას შემოდგომამდე დავამთავრებთ. რაც შეეხება აგრიკულტურაზე ზრუნვას, დღემდე ნაკლები გაკეთებულა, რადგან მთელი ყურადღება მიწათ-მოქმედების სამინისტროსი აგრარულ რეფორმის გატარებისკენ იყო მიქცეული და ამისათვის არც ობიექტიური პირობები იყო ხელსაყრელი. უკანასკნელ დროს მდგომარეობა იცვლება. უცხოეთთან კავშირის დაჭერა გაადვილდა და ზოგიერთი საჭირო ნაბიჯები ამ მხრივ უკვე გადადგმული არის. მესამე გახლავთ სახელმწიფო მამულების მოვლა-პატრონობა. ოპოზიციის ორატორები, როდესაც დასჭირდებათ, სარგებლობენ კანტრალიორის მოხსენებებით და ილაშქრებენ ამა თუ იმ უწყების წინააღმდეგ, როცა თვით კანტროლიორის ვინება არის საჭირო, მაშინ მას მუმიას ეძახიან. შენგელაია და სხვები კანტროლის მოხსენებას ემყარებოდენ, მაგრამ მათ რაც დადებითი დაინახეს ის დამალეს. რაც უარყოფითი იყო ის კიდევ დაამახინჯეს. აქ შენგელაიამ წაიკითხა, რომ სახელმწიფო მამულებიდან შემოსული ფული იხარჯებოდა სულ სხვაზეო. მან ეს რუსულად დაწერილი ადგილი ისე გადასთარგმნა, თითქოს ფული იფლანგებოდა. ის იმ მოხსენებას არ ჩაყვა ბოლომდე, სადაც ნახავდა, რომ ფული 200,000 მან. მიეცა გვარდიას, როცა საქართველო ომს აწარმოებდა. ფული მიეცა სხვადასხვა დაწესებულებებსაც, ფორმალურათ აქ წესი დარღვეული იყო, მაგრამ, თუ მხედველობაში მიიღებთ იმ გარემოებას, რომ ხშირათ ხაზინაში ფული არ მოიძებნებოდა, რასაკვირველია, მაშინ ადვილათ წარმოსადგენია, რომ ჩვენ არსებითად მართალი ვყოფილვართ. შენგელაიამ წაიკითხა ის ადგილი კანტროლიორის მოხსენებიდან, სადაც სწერია: მიწათ-მოქმედების სამინისტრო უყურადღებოთ სტოვებს კანტრალიორის შეკითხვებსო. ამ შემთხვევაში კანტრალიორი სცდება. დასამტკიცებლათ ამისა მოვიყვან შემდეგს: კანტრალიორმა მოახდინა რევიზია ბორჯომის მამულის. ამის შესახებ ცნობა მოგვივიდა 16 ოქტომბერს. ოთხი დღის შემდეგ წავედი მე და ჩემი ამხანაგი ადგილობრივათ და გამოვიძიეთ საქმე და 28 ოქტომბერს ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები კანტრალიორს შევატყობინეთ. იყო შემთხვევა ასეთი: 4 მაისს კანტროლიდან მოგვივიდა მოწერილობა, 6 მაისს გავეცით პასუხი; 7 ივნისს მოგვივიდა მეორე მოწერილობა, სადაც გვწერდნენ პასუხი რატომ არ გამოგზავნეთო. როდესაც მოვთხოვეთ მოენახათ ქაღალდები, იქ ჩვენი პასუხი აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არამცთუ პასუხს არ ვაძლევთ კანტროლს, იგი ხშირად უსამართლოდაც გვეპყრობა. აქ იძახიან ბორჯომის ქონება გაიფლანგაო რაში გამოიხატა ეს? კანტროლმა მოახდინა რევიზია ბორჯომის მამულებისა 1917—18 წ. რა პირობებიც იყო მაშინ, ეს ყველამ იცის კარგად: იყო ანარქია და ამას ზედ დაერთო ომი. ბორჯომიდან ექვსი ვერსის დაშორებით ბრძოლა სწარმოებდა და ასეთ პირობებში რომ ვისმე ფარდა ან რაიმე სხვა ნივთი წაეღო, ეს ადვილათ ასახსნელია. მე არასოდეს არ მივცემ თავს ნებას, რომ ვთქვა ჩემს უწყებაში ყველა სინდისიერათ ასრულებს მოვალეობას. მაგრამ თქვენ იმას ვერ დაამტკიცებთ, რომ ჩვენ ბოროტ-მოქმედს ხელს ვაფარებდეთ. აქ ლაპარაკობდენ ურუშაძის შესახებ. რა ჩაიდინა მან? სულ ორი კვირაა, რაც წავიდა კომისიასთან ერთად კლიმატიური სადგურის გასაღებად. ის ჯერ დანიშნულებისამებრ არც კი ჩასულა და თქვენ მასზე ლაპარაკობთ. თუ თქვენ ეძებთ და ყველგან ბოროტ-მოქმედი გეჩვენებათ ახლოს უნდა მონახოთ, ჩვენში ვერ იპოვნით. ბორჯომის მამულის შესახებ კანტროლის მოსაზრებები ზოგიერთი მისაღები იყო. ჩვენ მასზე პასუხი გავეცით კიდეც.

იყო მაგალითად ზოგიერთი ისეთი მოსაზრებანი კანტროლიორის, რაც მისაღები არ იყო. ჩვენ მაგალითად საგანგებო რაზმი გვყავდა ბორჯომის ტყეების დასაცავათ. ეს კანტროლს არ მიაჩნდა მიზან-შეწონილათ. მაგრამ თუ მივიღებდით მხედველობაში იმას, რომ იყო ისეთი მომენტი, როდესაც გარშემო მდებარე სოფლები ხშირათ იჭრებოდენ და და ანადგურებდენ ტყეს, მაშინ ადვილად მისახვედრია, თუ რათ გვყავდა რაზმი.

შემდეგ მინისტრი ეხება ბორჯომის წყლის გაყიდვის საკითხს და ამტკიცებს, რომ მთავრობას მეტად ხელსაყრელ პირობებში აქვს გაცემული იგი. რაც შეეხება დეპ. კედიას შეკითხვას, რომ რით აიხსნება ბოთლი წყალი მთავრობას უჯდება 4 მან. და 15 კ. ამავე დროს ყიდდა 3 მანეთათ,—ეს არ არის მართალი, რაც შეგიძლიათ დაინახოთ ანგარიშებიდან. მთავრობა 3 მანეთათ ყიდდა ძველ ჩამოსხმულ წყალს. და ზარალით რომ გაეყიდნა, მოგებას ველარ ნახავდა. იმ დროს კი საგრძნობი მოგება დარჩა. 1919 წელს უწყებამ 800 ათასი მანეთი მოიგო ბორჯომის წყალში.

შემდეგ მინისტრი აღნიშნავს, რომ მიუხედავათ იმისა, რომ კრედიტები გადიდებულ იყო, ჩვენ ეს ისე კი არ გვესმოდა, რომ უეჭველათ გადიდებული კრედიტი უნდა დახარჯულიყო. სამინისტრომ ერთი წლის განმავლობაში 66 მილ. მანეთი ეკონომია გააკეთა. მინისტრი ციფრებით ხელში ამტკიცებს, რომ სახელმწიფო მამულები მოგებას იძლევიან, რაც 100% მეტს აღწევს.

ისეთ პირობებშიაც კი, როდესაც ძნელია სამეურნეო იარაღების შოვნა, წამლის მიღება, მაშინაც კი დიდ შედეგებს ვაღწევთ, შეიძლება უწყებაში ჰქონდეს რაიმე ადგილი უწესობას, მაგრამ იმას ვერავინ იტყვის, რომ ბოროტ-მოქმედებას აფარებდეს ვინმე ხელს. არა ერთი და ორი მოხელე იქნა გადაყენებული და პასუხისგებაში მიცემული (ესერი დეპუტატები ხშირათ სხვადასხვა რეპლიკებით აწყვეტინებენ სიტყვას. გაისმის ხმა: ბოროტ-მოქმედებით არის სავსე თქვენი დაწესებულებებიო და სხვა). მინისტრი აღნიშნავს, რომ უკვირს მას რატომ აძლევენ ოპოზიციის ორატორები თავიანთ თავს ნებას ისეთი სიტყვები წარმოსთქვან, რომლის დამტკიცებაც არ ძალუძთ. რა მოსდის ამ ხალხს? რატომ აქვთ ისეთი ცუდი წარმოდგენა ჩვენზე. თქვენ ხომ არ იცნობთ, ბატონო ესერებო, ისეთ პირს, რომელსაც მთავრობის წევრობა გამოეყენებინოს თავის პარტიის სასარგებლოდ?

ივ. გობეჩია ხმაურობს და არ აძლევს საშუალებას ორატორს განაგრძოს სიტყვა. ესერების სკამებიდან მოისმის ხმა „ქურდები ხართო“.

ამ სიტყვების შემდეგ დეპუტატი ვლასა მგელაძე წამოიჭრა ადგილიდან, უბრუნდება ესერებს და უძახის: ვის უბედავთ თქვენ ასეთ სიტყვებს? როგორ ბედავთ ჯიბლაძეს შეეხოთ? თავხედებო! (დიდი ხმაურობაა) ნაციონალ დემოკრატი დეპუტატები ვლასა მგელაძეს ამშვიდებენ. მგელაძე ჯდება. თავმჯდომარე მოუწოდებს წესიერებისაკენ. ვლასა მგელაძე (წამოიჭრება კვლავ ადგილიდან) ვის უბედავენ ამ შეურაცყოფას? ჩვენ არ მივცემთ არავის ნებას ასე შეურაცყონ ჩვენი მასწავლებლები და იმავე დროს დაამცირონ ეს უმაღლესი დაწესებულება. (ესერების სკამებზე ხმაურობაა) თავმჯდომარე გობეჩიას მოუწოდებს წესიერებისაკენ.

მგელაძე ჯდება. ამბობს, რომ კმაყოფილია. ბოდიშს იხდის თავმჯდომარის წინაშე.

ნ. ხომერიკი განაგრძობს:

რომ აქ ესერები უსაბუთო ბრალდებებს ისვრიან, მე ვეკითხები მათ: ხომ არ იცნობენ იმ პოლიტიკურ პარტიის წევრს, რომელსაც სახაზინო ქონება გამოეყენებინოს პარტიის სასარგებლოთ. (ხმები: დაასახელეთ, თავმჯდომარე მოუწოდებს დაასახელოს ვისზე ამბობს, რათა გაუგებრობას არ ქონდეს ადგილი). მე ბოდიშს ვიხდი ლორთქიფანიძის წინაშე, რომელიც ჩემის რწმენით მსხვერპლი გახდა თავის ამხანაგების ვერაგული მოქმედების. სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიამ დაავალა ლორთქიფანიძეს, რომ მას სახელმწიფო ნავთი, რომელიც შემოტანილი იყო უბაჟოდ, გადასცა პარტიისათვის საარჩევნო ფონდის შესაქმნელად. როცა ეს ფაქტი გამომჟღავნდა, ლორთქიფანიძეს არ დაუმალავს და განაცხადა: ეს ჩავიდინე ცენტრალურ კომიტეტის დავალებითო. გობეჩიამ და შენგელაიამ კი განუცხადეს მთავრობას, რომ ცენტრალურ კომიტეტს არაფერი მსგავსი არ მიუნდვია ლორთქიფანიძისათვის. მათ, როგორც „რაინდებმა“ მიატოვეს თავისი ამხანაგი (ხმა ადგილიდან: ტყუილია), თუ მართლა ლორთქიფანიძემ ტყუილი სთქვა, რათ არის მაშინ თქვენს პარტიაში და რათ არის დეპუტატად.

შენგელაია. (ს. რ.) ადგილიდან უძახის: პრობკები მოიპარეთ და გაყიდეთ. საშინელი ხმაურობა ასტყდა სოციალ-დემოკრატების სკამებიდან მოისმის ხმები: უკან წაიღეთ თქვენი სიტყვები.

თავმჯდომარე. მე ვერ გავიგონე ბ ნ შენგელაიას სიტყვები. დამფუძნებელ კრების წევრო შენგელაია, გთხოვთ გაიმეოროთ თქვენი სიტყვები.

შენგელაია წამოდგება და ამბობს: მე ვთქვი პრობკები გაყიდეს და ამით ხაზინა აზარალეს. ხმები: შეშინდა გადათქვა, არ ჰქონია გამბედაობა.

მინისტრი განაგრძობს: როდესაც ასეთი ლაპარაკი მესმის ოპოზიციიდან ვუკვირდები და ამას ვხსნით მით, რომ ისინი თავიანთ არშინით ზომავენ ყველაფერს, მაგრამ ინებონ და თავიანთი არშინით ზომონ თავიანთი საქმეები, ვინაიდან მთავრობაში არ მოიძებნება ისეთი პირი, რომელიც ბოროტ-მოქმედების ჩამდენი იყოს (ტაში).

ა. ახათიანი (ნაც.-დემ.) აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ ხარჯთ აღრიცხვას არ შეიძლება ეწოდოთ სახელმწიფოს ბიუჯეტი, ეს არის აღწერა. სახელმწიფოს მიერ გაწერილ ხარჯების და კამათიც ამის ფარგლებში უნდა გვეწარმოებინა. ჩვენი ქვეყნის მძიმე ფინანსიური ეკონომიური მდგომარეობა ბიუჯეტის დეფიციტში კი არ მდგომარეობს, არამედ—სახალხო და სახელმწიფოს მეურნეობაზე არის დამოკიდებული. ორატორი აღნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ რადიკალურათ იქნება შეცვლილი ეკონომიური პოლიტიკა და მივიღებთ სახელმძღვანელოთ იმ ეკონომიურ სისტემას, რომლითაც აუმჯობესებენ თავიანთ მდგომარეობას ევროპის ქვეყნები.

სიგვიანის გამო თავმჯდომარე აწყვეტინებს სიტყვას, რომლის გაგრძელებაც მიეცემა შემდეგ სხდომაზე.

პირად საკითხის გამო განცხადებისათვის სიტყვა ეძლევა **ივ. გობეჩიას**, რომელიც აცხადებს, რომ თუ მართლა ვინმემ ჩაიდინა ცენტრალური კომიტეტის სახელით ბოროტ-მოქმედება, თქვენი მოვალეობა იყო სამართალში მიგეცათ. ამის გამო სამართალში მიცემულ იყო ლორთქიფანიძის მდივანი, რომელიც გამართლებულ იქნა.

ი. ლორთქიფანიძე. ცენტრალურ კომიტეტიდან ნავთის შესახებ არავითარი დავალება არ მამილია. გამოძიება სწარმოებდა და სასამართლომ გაამართლა ჩემი პირადი მდივანი. მე მოვითხოვ, თუ რამე ბოროტმოქმედება ჩავიდინე მიმეცით სამართალში.

ნ. რამიშვილი აცხადებს, რომ ვერავინ ვერ იტყვის იმას, რომ ჩვენ ბოროტმოქმედებას ვაფარებდეთ ხელს. ამას, სხვათა შორის აშკარად ყოფს ის ფაქტი, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად გაარჩია სასამართლომ მაღლაკელიძის და სხვათა საქმე. ნათესავებს ჩვენ ადგილებზე არ ვინიშნავთ. ამას ვერავინ იტყვის. მე მგონია ლორთქიფანიძე იმდენათ სცემდა თავის თავს პატივს, რომ ფაქტების დამახინჯებას არ იკადრებდა. მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო იმ ფაქტის შესახებ, რომლის გამო მთავრობის ერთ-ერთმა წევრმა თავის მოკვლა განიზრახა (ხმაურობა).

თავმჯდომარე მაგის შესახებ ვერ მოგცემთ სიტყვას. პირად საკითხისათვის ბრძანეთ.

ნ. რამიშვილი. გაიხსენოს ბ. ლორთქიფანიძემ ყოველივე ის, რაც მოხდა ჩვენს კაბინეტში და შემდეგ გამოვიდეს აქ და განაცხადოს ყოველივე გულახდილათ.

ნ. ხომერიკი. მე ძლიერ გამაკვირვა ლორთქიფანიძის და გობეჩიას გამოსვლამ ფაქტია ის, რომ ლორთქიფანიძემ განაცხადა პარტიის დავალებით მოვიმოქმედეო. ეს განაცხადა მან გამოძიების დროს და ეს ოქმშიაც არის შეტანილი. ასევე განაცხადა მან მთავრობაში.

დღიური შენიშვნები.

რატომ არ არის,—და რატომ არის?!

ღამეა. რუსთაველის პროსპექტზე, სწორედ მთავრობის სახლის პირდაპირ, ერთ-ერთ მესაათისა თუ მეწვრიმალის დუქანს მისდგომია, მგონია, კომისარის თანაშემწე და უბრახუნებს კარებზე.

როცა კარი გაიღო, მილიციის წარმომადგენელი შეეკითხა მაღაზიის პატრონს: **რატომ არ არის** ანთებული მაღაზიის წინ ელექტრონის ლამფაო.

აღარ გავჩერებულვარ. გზა განვაგრძე. ამ შემთხვევაში მოულოდნელი და გასაკვირველი არაფერი იყო,—ნაბრძანებია ქუჩების განათება ღამით და მილიციის სისრულეში მოჰყავს ბრძანება...

მაშასადამე, ამ შემთხვევაში შეკითხვა—„**რატომ არ არის?**“... ბუნებრივი და სამართლიანია.

მაგრამ აგრეთვე სამართლიანი და ბუნებრივი იქნება ჩვენი შეკითხვა: **რატომ არის** მთელი დღე, თფილისის თითქმის ყველა ქუჩები განათებული ელექტრონის შუქით?

რომელი საჭიროება მოითხოვს ამას, ან ვის, რომელ უწყებას, საზოგადოებას ან პიროვნებას უნდა დავუყენოთ ეს საკითხი, რომ შესაფერი პასუხი მივიღოთ?

იმიტომ არისო,—ამბობენ ერთნი, რომ, როცა ელექტრონის სადგური მუშაობს,—გინდ გაანათე ქუჩები, გინდ ნუ გაანათებ, ხარჯი ერთიაო...

მეორენი ამბობენ: იმიტომ არის, რომ ელექტრონის ბევრ სადგურებში და საერთოდ ბევრ სხვა ჩვენს დაწესებულებებშიაც მოიპოვებიან, „საბოტაჟნიკები“, რომლებიც ამგვარი მუშაობით ჩვენს სახელმწიფოს ბორბალს ჯოხებს უდებენო...

რამდენიმე ათეულ ფუთ მაზუთის დაწვასა და მისი შესაფერი რაოდენობის ელექტრონის ლამფების გაფუჭებასთან ერთად, ჩვენი მტრები საქვეყნოდ თავსა გვჭრიან—ყოველ დღე ჩვენის თანდასწრებით დემონსტრაცია ახდენენ იმისას, რომ ჩვენ ელექტრონის მოხმარის არაფერი გაგვეგებაო.

რამდენისაც ამ საკითხის შესახებ მცოდნე პირთა აზრი მომისმენია,—ეს მეორე ახსნა მართალი უნდა იყოს!..

და თითქმის წელიწადზე მეტია ეს საკითხი მაინც მიტრიალებს თავში. ვის შევეკითხო: **რატომ არის**, დღით, მზის სხივებთან ერთად ელექტრონის შუქი თფილისის ქუჩებში?..

ქალაქის გამგეობას ამისთვის, ვიცი, არ სცალიან...

ქალაქის მთავარი ქუჩების „ჩისტების“ მოედნებად და „ტალკუჩკებათ“ გადაქცევასთან შედარებით, ეს უბრალო საქმეა. ჯერ მჭიდროთ უნდა „დასახლებულ“ იქნას ქუჩები „ჩისტებითა“ და სხვა და სხვა მოვაჭრეებით!

მთავრობის სხდომაზე ამ კითხვის დაყენება ხომ სასაცილო იქნება,—რაღაც რამდენიმე ათეული ფუთი მაზუთისთვის როგორ შევაწუხო!

გენერალ-გუბერნატორი ან საგანგებო რაზმი,—აბა რატომ მიაქცევენ ყურადღებას: დღისით რომ ელექტრონით იყოს ქუჩები განათებული, ამით პოლიტიკური გადატრიალება ხომ არ მოხდება!..

ერთი გამოსავალი და დარჩენილა: ვთხოვოთ მილიციას: ისე, როგორც საღამოთი ჩამოივლიან ხოლმე და ჰკითხავენ: **რატომ არ არის,**—ჩამოიარონ დილით და ჰკითხონ: **რატომ არის.** იქნება ამ გზით მივიღო პასუხი!..

სიტყვა მილიციას ეკუთვნის: **რატომ არ არის,—და რატომ არის?!.**

გ. მ.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

ესეც საბჭოთა მუშაკია!? ვინმე წითელი არმიელი სწერს: „ნოვოროსიაში სახალხო განათლების განყოფილებაში არის „მუშაკი“, გვარად ვილაც სტეპანოვი, რომელიც ცნობილი არის მთელ ნოვოროსიაში და ეკატერინოდარში არა მარტო იმით, რომ აქვს სახლები და საწყობები, არამედ—იმითაც, რომ საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ქალაქებში აწარმოებდა ჭურჭლეულობით ვაჭრობას. დღევანდლამდე ამ საბჭოთა მუშაკს“ აქვს შეძლება აისრულოს თავისი ბურჟუაზიული ჩვეულებანი, რაც გამოიხატება იმაში, რომ იწვევს სახლში თავის ავათმყოფ ოჯახის წევრების მოსავლელად ექიმებს და მოწყალების დებს, მის ქალებს ფრეილინები ახვევიან გარს. და მრავალი ხელზე მოსამსახურე დაბანდებული არის მის სახლში. საინტერესოა, ვისი პროტექციით გახდა ეს სპეკულიანტი—ვაჭარი აღნიშნულ განყოფილების „საბჭოთა მუშაკათ“. სამწუხარო და საწყენი ხდება, როდესაც კითხულობთ უმუშევართა განყოფილების ციფრებს, სადაც სწერია 442 მამაკაცი და 542 დედაკაცი არის უმუშევარიო. დავიჯეროთ, რომ არ მოიძებნება არც ერთი სპეციალისტი, რომელმაც შესცვალოს ეს „საბჭოთა მუშაკი“, რომელსაც ხალხის მოტყუება აქვს გამხდარი ხელობათ და რომლის მამაპაპებიც ეკლესიების „სტაროსტებათ“ იყვნენ? („კრასნ. ჩერნ.“ № 76).

რუსეთში და ჩვენში.

(ბალშევიკური რუსეთის ცხოვრებიდან).

რუსეთის სამოქალაქო ომის პირველ დღეებში განზე ვიდექი და მუშებს დემოკრატიული გზისაკენ მოვუწოდებდი. მაგრამ როდესაც ძალთა განწყობილება ისეთი შეიქნა, რომ ყველაფერი აშკარა რეაქციის უწყობდა ხელს,—მეც ნეიტრალობა დავარღვიე და ბალშევიკებს ვუწევდი დახმარებას, რითაც კი შემეძლო, ვინაიდან ალექსეევ-დენიკინს ბალშევიკებს ვამჯობინებდი.

გაიმართა დიდი ომი. დამარცხდნენ თეთრები, გაიმარჯვეს წითლებმა. მაგრამ არსებითად ცხოვრების სოციალურ-ეკონომიური შინაარსი არ გამოცვლილა. დამარცხდა ერთი რეაქცია, გაიმარჯვა ისევ რეაქციამ; გამეფდა ძარცვა-გლეჯა, რეკვიზიცია, შეუჩერებელი ტერორი და მათრახი, ხალხის რწმუნებულთა დახვრეტა და გადასახლება მსგავსად ბალშევიკების წინა მოადგილეთა რეჟიმისა. ახალმა გამარჯვებამ შექმნა ხალხში ახალი უკმაყოფილება, ხოლო მრისხანე რეპრესიებმა სულიერი რეაქცია გამოიწვია. ბალშევიკური ჯარი თავის გამარჯვებით კმაყოფილიც არის და უკმაყოფილოც.

კმაყოფილია მტრის დამარცხებით, უკმაყოფილოა ბალშევიკური წესებით, ვინაიდან არ სჯერა, რომ ისინი ცხოვრებას გამოასწორებენ.

საქართველოს ჯარის მოხალისეებთან შეტაკების და მათზე გამარჯვების ამბავი აღწევდა წითელი ჯარების ყურამდე, რაც მათ სიხარულს ჰგვრიდა და ბრძოლის უნარს უმატებდა. ხშირად ამბობდენ: ქართველებს ტყუილად ემდურიან; ისინი ჩვენზე შეგნებული რევოლიუციონერები არიანო. საბჭოთა რუსეთის მოხელეები კი კბილთა ღრჭენით იხსენიებდენ საქართველოს, გმობდნენ და გმობენ და ჰკიცხავენ სიტყვით და წერით საქართველოში გამეფებულ „ბარბაროსულ ტერორს“, სიტყვისა და „აზრის შევიწროვებას ხალხში და ჯარში“. ამრიგათ უარყოფენ საქართველოში იმ არსებულ წყობილებას და წესებს, რასაც სასტიკათ იცავენ რუსეთში. ერთხელ ჩემ შეკითხვაზე, თუ რატომ აღიარებენ თავისუფლების დამღუპველად სიკვდილით სასჯელს და აგიტაციის შევიწროვებას საქართველოში, როცა ამას სასტიკად იცავენ და საჭიროდ აღიარებენ რუსეთში,—კომისარმა მიპასუხა: იმიტომ, რომ გაგვიადვილდეს მათზე გამარჯვებაო. ეს პასუხი ჩემთვის ახალი არ იყო. ბალშევიკებმა რუსეთში მართლაც სიკვდილით დასჯის გზით და სხვისთვის აგიტაციის აღკვეთით გაიმარჯვეს. რევოლიუციის პროცესში სიკვდილით დასჯის კანონი, მიზან-შეწონილად ხმარებული, გამარჯვების პირველი გარანტიაა სხვა მრავალ საშუალებათა შორის. მაგრამ ბალშევიკებმა აქაც გადააჭარბეს. სიკვდილის მახრუჭზა აკვრევინეს თავი ყველას, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, ვინც რევოლიუციამდე თუ მის შემდეგ ბალშევიკი არ იყო.

შეგნებული მუშების შეურიგებლობას ბალშევიკებისადმი იწვევდა და იწვევს იმდენათ არა უსაზღვრო ხოცვა ადამიანებისა, რამდენადაც ბალშევიკების უსუსურობა ცხოვრების აღმშენებლო საქმეში. ყოველივე ცდა სამეურნეო, სამრეწველო და სატრანსპორტო დარგის მოსაგვარებლად მიზანს არ აღწევს რამდენადაც ვრცელდება და ფართო მასშტაბით ტარდება შრომის სავალდებულო ბეგარა,—იმდენად მცირდება და კლებულობს შრომის ნაყოფიერება. მუშათა ხელფასი შრომის სიმძიმესთან შედარებით უკუღმა პროპორციონალურია, ხოლო 90 პროცენტი უმუშევარია და წარმოების გარეშე დგას. საარსებო საგნები სრულიად გაქრა ბაზრიდან და ცხოვრების სიძვირემ საზოგადოებრივ უბედურების ხასიათი მიიღო. ასეთ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიურად გახრწნის პირობებში, თავი იჩინა და ნელი ნაბიჯით ვითარდება ამ ვითომდა სოციალისტურ რევოლიუციის საწინააღდეგო მოძრაობა. და შორს არ არის ის დრო, როცა ეს მოძრაობა მრისხანე ძალად იქცევა.

დენიკინის დამარცხების შემდეგ ამ შიმშილისა, სიკვდილისა და დაუნდობლობის ქვეყანას თავი დავუკარი და სამშობლოს ვესტუმრე. ვფიქრობდი, დრობით მოვისვენებ სოციალ-დემოკრატების ლანძღვის მოსმენისაგან მეთქი. მაგრამ ველარ ველირსე. მახინჯი ყველა ოჯახში ყოფილა. 27 ივლისს პირველად დამფუძნებელ კრების სხდომაზე დასწრებამ რომელზედაც ესერთა ფრაქციის იერიში მიჰქონდა რესპუბლიკის ჯარებში რესპუბლიკის საწინააღმდეგო მოწოდების გავრცელებისათვის სიკვდილის დასჯის შემოღების დეკრეტის წინააღმდეგ; ამ კრებამ თავი რუსეთში მომაგონა ესერების სიკვდილით დასჯასა და ტერორის მომხრე პარტია მისი უარისმყოფელი ხდება რევოლიუციის დროს. ამით ესერები სდგებიან რუსული ბალშევიკების თვალსაზრისზე და ნებსით თუ უნებლიეთ იცავენ საქართველოს რესპუბლიკის დაუძინებელ მტრებს.

ს. ჯაში

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

3 აგვისტო.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობები.

(ბალშევიკური)

ოპერატიული რადიო ცნობა.

ლომჟის რაიონში დავიკავეთ მუგინი. ბელოსტოკის სამხრეთ-დასავლეთით მკაცრი ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ ჩვენი ჯარები გადავიდა ნარევზე და მაზოვეცის წინააღმდეგ შეტევას აწარმოებენ. ბრესტლიტოვსკის რაიონში მკაცრი ბრძოლების შემდეგ ჩვენ ავიღეთ ბრესტლიტოვსკი. ამასთანავე ხელთ ვიგდეთ დიდძალი ტყვეები და სამხედრო ნადავლი. ტარნოპოლთან ჩვენ მდინარე სერეტის მარჯვენა ნაპირებთან მდებარე მთებიდან გავრეკეთ პოლონელები. ჩერტკოვის რაიონში ჩვენი ჯარები ავიწროებენ მოპირდაპირეს მდინარე სერეტის დასავლეთით. ყირიმის რაიონში მდინარე კონსკაიასა და ბერდიასკის ხაზზე მკაცრი ბრძოლები ვრცელდება.

ფრანგული ცნობები.

ოსმალეთის კაბინეტი.

ჰავასის სააგენტოს კონსტანტინოპოლიდან აუწყებენ ფერიდის კაბინეტის წევრის ჯემალ-ფაშის გადადგომის შესახებ. ამ გადადგომას მოყვება სხვა მინისტრთა გადადგომაც. დიდი ვეზირი იძულებული იქნება კაბინეტი ანგლოფილებით შესცვალოს.

მოკავშირენი და საბჭოთა რუსეთი.

რეიტერის სააგენტოს ცნობით საბჭოთა და მოკავშირეთა მთავრობის კონფერენციაზე ლონდონში მოიწვევენ იტალიასაც.

ემირ ფეისალი.

ბეირუთიდან მოსული ცნობით ემირ ფეისალი დამასკს სტოვებს და გეჯასისკენ მიემგზავრება.

ფრაკიაში.

ფრაკიაში სამხედრო ოპერაციები დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. ჯაფარ ქაიარი ტყვეთ არის, მისი ჯარი გაფანტულია. წინააღმდეგობის ერთად-ერთ ცენტრს წარმოადგენს კირკ-კილისის მიდამოები.

ოსმალეთის დელეგაცია.

კვირას აგვისტოს 1 ოსმალეთის დელეგაცია ვერსალში თავის რწმუნებულებას გადასცემს მოკავშირეებს.

„ფიგაროს“ ცნობით ოსმალეთი საზავო ხელშეკრულებაზე ამ კვირაში მოაწერს ხელს.

რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკება.

ვარშავიდან მოსული დეპეშა იუწყება, შაბათს პოლონეთსა და რუსეთის რწმუნებულები ერთმანეთს შეხვდებიან მოსალაპარაკებლათ.

ფრანგულ გაზეთებს არ აქვს ცნობები რუსეთ-პოლონეთის საზავო მოლაპარაკების შესახებ. წითელი ჯარი განაგრძობს შეტევას.

ხალხთა ლიგა.

შაბათს სენ-სებასტიანში შესდგა ხალხთა ლიგის საბჭოს სხდომა. სხდომა

შეეხო საერთაშორისო ტრანზიტს და გადასწყვიტა წინადადება მისცეს საერთო კრებას, დანიშნოს საერთაშორისო სატრანზიტო კომისია. ეს კომისია, ხალხთა ლიგის ტეხნიკურ ექსპერტებისაგ 6 შემდგარი, შეეცდება დაამუშაოს საერთაშორისო ტრანზიტის დებულება რკინისა და წყლის გზებზე. აგრეთვე უნდა მოწესრიგდეს საბაჟების საქმე.

გერმანული ცნობები.

სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი. (დასაწყისი არ არის მიღებული)... სახელმწიფოს შემოსავალი უდრის 32 მილიარდს მაშინ, როდესაც გასავალი 235 მილიარდს უდრის. რკინის გზები, ფოსტა-ტელეგრაფი დიდ დეფიციტს იძლევა, ვინაიდან შემოსავალი გასავალს აღარ ფარავს. რკინის გზების დეფიციტი 1920 წელს უდრის 15.000 მილიარდ მარკას. ფოსტა და ტელეგრაფის დეფიციტი კი უდრის დაახლოვებით ერთ მილიარდს. გერმანიის ვალი 1919 წლის ბოლომდე 220 მილიარდ მარკით გაიზარდა. ეს ვალი 1920 წელშიაც გაიზარდა იმ მრავალ ვალდებულებათა გამო, რომლებსაც აკისრებს გერმანიას საზავო ხელშეკრულება.

საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის მეჟვედითი ბიუროს ბიულეტენი.

კაუცკის გაძევება პარტიიდან.

ნაუენი 25 ივლისი. დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატებმა პარტიიდან გასვლის წინადადება მისცეს სოციალისტ კაუცკის, რადგან ის იცავს კოალიციონური პოლიტიკას, რომელსაც მემარცხენე სოც.-დემოკრატები პრესაში აწარმოებენ.

საქართველოს კონსული ყირიმში

მოსკოვი. 20 ივლისი. გაზ. „ნოვაია რუსსკაია ჟიზნ“ (ჰელსინგფორსი) სევასტოპოლიდან დეპეშით აუწყებენ: „საქართველოს კონსულმა სევასტოპოლში დ. უ. ბარამიძემ ინახულა სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი გენ. ვრანგელი. კონსულს მისალმების საპასუხოთ მთავარსარდალმა იმედი გამოსთქვა, რომ საქართველოსთან დამყარდება კეთილმეზობლური ურთი-ერთობა, რომელსაც ვერ შეუშლის ხელს უმნიშვნელო კონფლიქტები.

საფრანგეთის ჯარის გადასვლა ქემალისტების მხარეზე.

ანგორა. 29 ივლისი. საფრანგეთის 200 ჯარისკაცი—ალჟირელი მუსულმანები თოფებით და ტყვიისმფრქვეველებით ოსმალების მხარეზე გადავიდა.

მუსტაფა ქემალი ფრონტზე.

ანგორა. 18 ივლისი. მუსტაფა ქემალი და 10 სახალხო წარმომადგენელი ფრონტის დასათვალიერებლად გაემგზავრენ.

გენ. რაუდინსონის თხოვნა.

ანგორა. 18 ივლისი. არზრუმის გუბერნატორმა კარა-ბექირ-ფაშამ ანგორის დიდ ეროვნულ კრებას გაუგზავნა არზრუმის ციხეში დაპატიმრებულ ინგლისელ გენერალ — ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ძმის რაუდინსონის თხოვნა, რომ ის გაანთავისუფლონ დადებულ დროებითი ზავის საფუძველზე. ეს თხოვნა გადაეგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს.

ფრაკიაში.

ანგორა, 18 ივლისი. ფრაკიაში დაიწყო შეტაკებები ერთის მხრით ბოლგარელებსა და ოსმალებს და მეორეს მხრით ბერძნებს შორის. ამიტომ ბრუსსის რაიონში პანტერმა—მუდაინის გზაზე მყოფ ჯარის ერთი ნაწილი როდოსტოში გადაიყვანა. სხვადასხვა ცნობით ფრაკიაში ფრანგები (ოსმალებს) ეხმარებიან ტერიტორიის დაცვის საქმეში.

კომუნისტების მიერ ქუჩუკ-ხანის ჩამოგდება.

ბაქო, 31 ივლისი. ენზელიდან შემდეგი რადიო-ცნობა მოვიდა 31 ივლისის თარიღით... „აღმოჩნდა, რომ ქუჩუკ-ხანის დროებით მთავრობას ვერ შეუძლია სპარსეთის რევოლუციონურ მოძრაობის ხელმძღვანელობა, ინგლისის იმპერიალიზმთან მარჯვედ ბრძოლა და მშრომელთა მასის არსებითი საჭიროებათა დაკმაყოფილება. 31 ივლისს ღამე კომუნისტებმა ყოფილ მთავრობის მემარცხენე ნაწილთან ერთად და რევოლუციონურ ჯარის და შეიარაღებულ მუშების მეთაურობით ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს. შესდგა ირანის დროებითი რევოლუციონური კომიტეტი, რომელშიაც შედის 8 კომუნისტი და მემარცხენე ხალხოსანი რევოლუციონერი. ძველი მთავრობის მომხრეთა უმრავლესობა გაიქცა. ენზელში და რეშტში რევკომები შესდგა. მილანში სრული რევოლუციონური წესრიგია. ფრონტი მტკიცეთა სდგას და შეტევა მარჯვედ სწარმოებს ინგლისელების და შაჰის ჯარების წინააღმდეგ.

საქ. დემ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ლონდონი. ივლ. 17. რეიტერის სააგენტო იუწყება: ინგლისისა და იაპონიის მთავრობამ ხალხთა ლიგის სეკრეტარიატში შეიტანეს ნოტა ინგლის-იაპონიის კავშირის აღდგენის შესახებ.

კონსტანტინოპოლი. „ბოსფორი“ იუწყება: ნაციონალისტები მთელ ტრაპიზონის ოლქში ბატონობენ. პოლიტიკური ატმოსფერა ძლიერ მძიმეა. ქრისტიან მცხოვრებლებს განადგურებით ემუქრებიან. სომხებს ქალაქიდან არ უშვებენ. ბერძნებს კონსტანტინოპოლის მიმართულებით წასვლა ეკრძალებათ, მაგრამ სხვა მიმართულებით წასვლა კი მათთვის ნება დართულია.

იგივე გაზეთი იუწყება: სომხეთის მთავრობამ ყირიმში დელეგაცია გააგზავნა. დელეგაციის მიზანია ზოგიერთ ეკონომიურ საკითხების მოწესრიგებაა.

კონსტანტინოპოლი. „იერგირი“ გადმოგვცემს: სევასტოპოლში უეცრად აფეთქდა წამლის საწყობი. ცეცხლი მთელი დღე-ღამე გრძელდებოდა.

პარიზი. მინისტრთა საბჭომ უარყო პროექტი პურის ბარათების შემოღების შესახებ.

ვაშინგტონი. ჩრდილოეთ რუსეთსა და ბალტიის მხარეში მყოფმა ამერიკის წითელი ჯვრის კომისარმა პოლკ. რაენმა თავის მთავრობას მოხსენება წარუდგინა: რაენის სიტყვით საბჭოთა მთავრობამ უახლოეს 6 თვის განმავლობაში დაიღუპება, თუ მან გარედან არ მიიღო დახმარება. რაენი თავის მოხსენებაში სწერს: „ან რუსეთმა უნდა მიიღოს დახმარება სურსათით და ტეხნიკურ მასალებით, ან მას (რუსეთს) სრული ქაოსი მოელის.

სპა. ივლ. 17. უკრაინის დელეგაციამ დელაკრუას გადასცა ნოტა, რომელშიაც სთხოვს მოკავშირეთა წარმომადგენლებს წინადადება მისცეს საბჭოთა რუსეთს ზავი ჩამოაგდოს უკრაინასთან.

კონსტანტინოპოლი, ივლ. 17.—„ჟურნალ დე-დება“ იუწყება: მუსტაფა ქემალმა წერილობით განუცხადა საზავო კონფერენციას: ოსმალეთის ხალხი არა სცნობს კონსტანტინოპოლის მთავრობის სახელით ფერიდ-ფაშის მიერ დადებულ საზავო ხელშეკრულებას. ოსმალეთის ხალხი, მუსტაფა ქემალის აზრით, არა სცნობს კონსტანტინოპოლის მთავრობას.

ერევანი. აგვ. 2. დეპეშათა სააგენტო იუწყება: შარურის და ნახიჩევანის თათრების დელეგაციამ სომხეთის მთავრობას მიმართა წინადადებით, რომ მან ზემოაღნიშნულ ოლქების ავტონომია გამოაცხადოს. ადგილობრივი მცხოვრებნი მთავრობას პირდებიან რესპუბლიკის სახელმწიფო გასავლის ნაწილის გადახდას. სომხეთის მთავრობამ უარყო ეს წინადადება იმ მოსაზრებით, რომ შარურისა და ნახიჩევანის თათრები ყოველთვის იმას სცდილობდენ, რომ სომხეთს რაიმე ზარალი მიაყენონ. მიღებულ ცნობებით შარურისა და ნახიჩევანის მოსახლეობა სტოვებს თავის ადგილებს და სპარსეთში ესახლება.

სომხეთის მთავრობა ზომებს იღებს თათრების მიერ დატოვებულ ადგილებში შარურიდან, ნადიჩ დანიდან, სპარსეთიდან და ოსმალეთიდან გამოქცეული სომხები დაასახლოს. ამას გარდა, იმავე სოფლებში ადგილები მისცეს იმ გლეხებს, რომლებთაც საკმარისი მიწა არ აქვთ.

მიღებული ცნობით ამ უკანასკნელ ხანებში კილიკიაში მცხოვრებ სომეხთა მდგომარეობა გაუმჯობესდა.

სომხეთის სამხედრო ნაწილები ფრანგების აქტიური დახმარებით ოსმალებისაგან სწმენდენ სხვადასხვა ადგილებს.

ერევანი. სომხეთის ჯარებმა დაიკავეს ქ. ნახიჩევანი. ქალაქის დაკავებისას სომხებსა და თათრებს შორის არავითარი ექსცესები არ მომხდარა.

პარიზი. „პტი პარიზიენის“ თანამშრომელი ლონდონიდან იუწყება: გუშინ საღამოს რუსეთ პოლონეთის პარლამენტიორები ერთმანეთს პირველად შეხვდენ.

ახალი ამბები

მატარებელზე თავდასხმა. 1 აგვისტოს ღამით ბათუმიდან გამოსულ მატარებელს № 6 საჯავახოსა და ნიგოითს შუა თავს დაესხა ყაჩაღები. ყაჩაღები თვით მატარებელში ყოფილან. ნიგოითს რომ გასცილებია მატარებელი, მათ უცბათ ამოუღიათ მაუზრები, ბომბები და მგზავრებისთვის დაუყვირიათ, რომ არ განძრეულიყვნენ. შემდეგ გაუძარცვავთ მგზავრები. გადასულან და გაქცეულან. ერთი თავდამსხმელთაგანი დაუჭერიათ, რომელიც აღმოჩნდა გურული (ნაგომარი) გაბრიელ დოლიძე. შეპყრობილი დანაშაულში გამოტყდა. ყველა წაღებული ნივთები მატარებლის მცველებმა ყაჩაღებს დაატოვებინეს. მიღებულია ზომები სხვების დასაჭერათაც,

◆ **ხორბლის თავისუფალი შემოტანა** თფილისის ქალ. თვითმართველობის სასურსათო განყოფილება აცხადებს ქალ. თფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მომარაგების მინისტრის დადგენილებით ბორჩალოს, თფილისისა და დუშეთის მაზრის პურის მოსავალი დანიშნულია ქალ. თფილისის მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად. ამიტომ ყველა კერძო პირთ და საზოგადოებრივ დაწესებულებებს ამ მაზრებში პურის განსაზღვრულ რაოდენობის შესყიდვისა და თფილისში თავისვე სახელზე თავისუფლად შემოზიდვის უფლება ეძლევათ. ამ მაზრების რკ. გზის სადგურების უფროსებს შესაფერი განკარგულება გაეგზავნათ, რათა დაუბრკოლებლივ მიიღონ პური და გადმოგზავნონ თფილისში.

◆ **დახმარება დასახიჩრებულთ.** ამ ახლო ხანში მოიწვევენ ფრონტის დამხმარე კომიტეტის შეერთებულ სხდომას დასახიჩრებულ მეომართა დახმარების გეგმის გამოსამუშავებლად.

◆ **საჩუქარი ბათომის გვარდიელებს.** ბათომში ჩავიდნენ დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიისა და ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის წევრები. მათ ბათომის გვარდიელებს საჩუქარი მიუტანეს. მათთან ერთად ჩავიდნენ კულტურულ-განმანათლებელი სექციის წევრები გვარდიელთათვის კინემატოგრაფიულ სურათების საჩვენებლად.

◆ **წერილები გერმანიაში.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ ყველა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას წინადადება მისცა, რომ ამის შემდეგ დაუყონებლივ იქნეს მიღებული ის წერილები, რომლებიც გერმანიაში იგზავნება. ეს წერილები დანიშნულ ადგილას ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტოის საშუალებით უნდა გაიგზავნოს.

◆ **თფილისის „სურსათზე“ მომუშავეთა პროფ. კავშირის** სასარგებლოთ ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხ. პრ., № 123) შაბათს, 7 აგვისტოს გაიმართება დიდი სახალხო საღამო—სეირნობა ალეგრა-ლატარეით. სცენაზე ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე ერთმოქმედებიანი მხიარული ვოდევილი ყოფილ საიმპერატორო თეატრების არტისტ ტარასოვის მონაწილეობით. ბალში ლატარეია, აუქციონი, ფოსტა, პტიშვო, ლოტო და ტუშპა. ცეკვა ევროპიული და აზიური. ბალში დაუკრავს ორკესტრი, ზურნა და საზანდარი. ბუფეტი ევროპიული და აზიური. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა მგოსანნი: გალაკტიონ ტაბიძე, კ. მიწიშვილი, ტუქსიშვილი, ხ. ვარდოშვილი, 3. ბერეკაშვილი, იოსელიანი და სხვა. ვინაიდან „სურსათზე“ მომუშავეთა კავშირს შეძლება აქვს იაფათ მოიპოვოს სანოვაგე, ბახშის ფასები ჩვეულებრივზე იაფი იქნება. ბილეთების ფასი 25 მან. წევრთათვის 20 მ. ბალში შესასვლელ ბილეთით უფლება აქვს დამსწრეს თეატრშიაც შევიდეს სრულიად უფასოთ. საღამო გაგრძელდება ღამის 3 საათამდე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

◆ **ყალბი სამოგზაურო ბილეთების გამყიდველთა აღმოჩენა.** ერთ თვეზე მეტია იყიდება თურმე სადგურ თფილისში ყალბი ბილეთები მატარებლებზე. რკინის გზის მილიციას მიუღია ზომები და კიდევაც აღმოუჩენია ბოროტმოქმედნი. 28 ივლისს თფილისის სადგურზე შეპყრობილ იქნენ ოზურგეთის მაზრის მცხოვრები ვასილ ივანესძე მენაბდე და ს. სამების მცხოვრები კოლია სოლომონისძე გიორგაძე, რომელნიც დანაშაულში გამოტყდნენ. ზომებია მიღებული სხვების აღმოსაჩენადაც.

◆ **დასავლეთ საქართველოს ხაზინებში და გადასახადთა ინსპექციაში** მოსამსახურეთა პროფეს. კავშირმა გამორიცხა კავშირის წევრობიდან ქუთაისის ხაზინის რეგისტრატორი იოსებ გიორგისძე ვაშაკიძე, რომელსაც ბრალდება ყალბი საბუთებით ახალგაზრდების სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება. ამასთან ერთად კავშირის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ ვაშაკიძე, როგორც არა კეთილ-საიმედო პიროვნება სრულებით გაძევებულ იქნას სამსახურიდან. ვაშაკიძე ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციამ უკვე დაატუსაღა

◆ **ჭიათურა-საჩხერის რაიონის სახალხო გვარდიელთა** ყრილობა ესალმება სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს და მთავრობის თავმჯდომარეს და აღთქმას სდებს, რომ საჭიროების დროს, როგორც ერთი კაცი, აღსდგება რესპუბლიკის შინაურ მტრების წინააღმდეგ და ნებას არავის მისცემს დამოუკიდებელი საქართველოს დროშის შელახვისას. თავმჯდომარე ქეიშვილი.

◆ **საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების** მთავარ სამმართველომ ჩაიბარა ნავთლუღის ქ. № 4 მდებარე სახლი ავეჯეულობით ყოფილ რუსეთის წითელ ჯვრის საზოგადოების კავკასიის საოლქო სამმართველოსაგან, რომელმაც მოახდინა ლიკვიდაცია თავის დაწესებულებათა.

◆ **წითელი ჯვრის უფასო ამბულატორია** ღიაა ყოველ დღე გარდა კვირაი უქმე დღისა დილის 10—12 საათამდე (26 მაისის ქ. № 60, ან შესავალი ილიას გასავალი.

◆ **პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში.** საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა აცნობა ყველა პროფ. კავშირებს, რომ თუ ისინი ერთი თვის განმავლობაში საბჭოს სასარგებლოთ არ შეიტანენ ჯამაგირიდან ხუთ პროცენტს, იმ შემთხვევაში გამორიცხული იქნებიან საბჭოდან და დაეკარგებათ უფლება იყოლიონ ყრილობაზე თავიანთი წარმომადგენლები. ეს დადგენილება გამოწვეულია მით, რომ ბევრ კავშირს ეს ფული არ შემოუტანია.

◆ **მფრინავთა დღესასწაული.** აგვისტოს 2 ჰაერო-დრომზე შესდგა მფრინავთა დღესასწაული. დღესასწაულს დაესწრენ მთავრობის, დამფ. კრების, სამხედრო სამინისტროს და სხ. წარმომადგენლები.

◆ **ფოილოს ხიდი.** გზების უფროსი კანდელაკი მთავარ სახელოსნოების უფროს სარაჯევის თანხლებით გაემგზავრა ფოილოში იმ მუშაობის დასათვალიერებლად, რომელიც ფოილოს ხიდის შესაკეთებლათ სწარმოებს.

◆ **მარგანეცის ექსპორტი.** აგვისტოს სამიდან ბათომში დაიწყო გემების მარგანეცით დატვირთვა. მარგანეცით დატვირთული მატარებელი მიჰყავთ ნავთსადგურში, სადაც გემები სდგას.

◆ **მუშათა უზრუნველყოფა სურსათით.** მუშათა მაგიდამ მიმართა მომარაგების სამინისტროს თხოვნით, რათა დაეთმოს მას სხვადასხვა პროდუქტი მუშათა და მოსამსახურეთა უზრუნველსაყოფათ. მუშათა მაგიდა ზომებს იღებს, რათა მუშები უზრუნველყოს იმ საქონლით, რომელსაც დღემდე არ არიგებდენ მაგ. ნახშირით, შეშით, მანუფაქტურით, ნავთით, კარტოფილით და ლობიოთი. სხვათა შორის მუშათა მაგიდიდან იუწყებიან, რომ მუშათა მაგიდა ივლ. 17-დე ყოველ დღე არიგებდა 1.300 ფუთს პურს, ივლ. 17-დან კი 1,560 ფუთს.

◆ **ფულის გამოუგზავნელობის** გამო დღეს უკანასკნელათ ეგზავნება გაზეთები: ოზურგეთს, ხონს და თელავს.

კრებები.

— ხუთშაბათს, 5 აგვისტოს, საღ. 5 საათზე შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის ჩვეულებრივი სხდომა, (კახეთის ქ. № 1).

— ს. ს. დ. მ. პ. სომხურ სექციის საზოგადო კრება დანიშნულია ოთხშაბათს, 4 აგვისტოს, საღამოს 6 ს., ბიუროს ბინაზე (ერთობის ქ.—ყოფ. კრუზენშტერ. № 4) დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: 1) გაზეთის საკითხი, 2) კონფერენცია, 3) მიმდინარე საკითხები.

ვერის მუშათა კლუბის გამგეობა იწვევს ოთხშაბათს 4 აგვისტოს 7 საათზე საღამოს თავის ბინაზე კლუბის ყველა სცენის მოყვარეთა და მსურველთ კრებას. განსახილველია ფრიად საჭირო საკითხები.

სომხეთში.

ფრონტებზე. სომხეთის დეპეშათა სააგენტო იტყობინება: ჩვენმა დარალაგეზის რაზმმა დაიკავა სოფ. პაისი. დამატებითი ცნობების მიხედვით კივრახის მაღლობებზე ჩვენმა ჯარმა ერთ ზარბაზანის გარდა თათრებს წაართვა კიდევ ორი ტყვიისმფრქვეველი „მაქსიმის“ სისტემისა. ნაწილი თათრებისა, რომელმაც ამ რამოდენიმე ხნის წინათ მაღლობები დაიჭირა, ეხლა უკანვე ბრუნდება და მორჩილებას აცხადებს. სომხეთის მთავრობამ ნება დართო მათ დასახლდენ ძველ ადგილებში. 31 ივლისს ჩვენი ჯავშნოსანი მატარებელი სადგ. ნახიჩევანამდე მივიდა; მტერი არსად შეხვედრია. ნახიჩევანში ხდება გაძლიერებული ევაკუაცია მცხოვრებლებისა არაქსის მიმართულებით. ნახიჩევანის მარილის მადნები ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს.

სომხეთი და რუსეთი. საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობის მეჟვედითი ბიურო იტყობინება:

რ. ს. ფ. ს. რ. რწმუნებულმა ამხ. ლეგრანმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სომხეთის მთავრობას: ერევანი, საგარეო საქმეთა მინისტრს ოჰანჯანიანს; ასლი მოსკოვში ჩიჩერინს; თფილისი, 29 ივლისი 1920 წელი. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ დამავალა მე საზავო მოლაპარაკება ვაწარმოვო სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასთან და დარწმუნებულია, რომ ჩემი ერევანში ჩამოსვლა ხელს შეუწყობს ამ ორ რესპუბლიკათა შორის მეგობრულ განწყობილების დაუყოვნებლივ დამყარებას. ჩვენი მისიის ახლო ხანებში ჩამოსვლა სომხეთის მთავრობამ ეცნობა ნარკომინდელის ჩიჩერინის დეპეშით, 30 ივლისი, № 19299. საბჭოთა რუსეთის მეგობრული განზრახვა და მისი გულწრფელი მისწრაფება, რომ შექმნას ხელსაყრელი პირობები სომხეთისა და მეზობელ ხალხების მშვიდობიან განვითარებისათვის, გამოხატულია ჩიჩერინის 20 ივლისის ნოტაში, № 751. მიუხედავათ ამისა, საქართველოში მყოფ საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლის მიერ საქართველოშივე, მყოფ სომხეთის წარმომადგენლისაგან მიღებულ ცნობიდან სჩანს, რომ მეგობრული და მშვიდობიანი განზრახვები საბჭოთა რუსეთისა ვერ ჰპოულობენ სომხეთის მთავრობის მხრივ ისეთ გამოძახილს, რომელიც საფუძველი იქნებოდა დაწყებულ საზავო მოლაპარაკებათა საჩქაროთ და სასურველათ დასაბოლოავებლათ.

რომ თავიდან იქნეს აცილებული მოლაპარაკებათა დროებითი შეწყვეტა,— საბჭოთა მთავრობა საჭიროთ სცნობს არ გადაიდოს საზავო მოლაპარაკების განახლება იმ დრომდე, სანამ მოსკოვიდან ჩამოვიდოდეს შანტის დელეგაცია, რომლის ჩამოსვლის დასაჩქარებლათაც მიღებულია ყოველგვარი ზომები. სომხეთის საზღვრებზე შექმნილ გარემოებათა გამო ყოველგვარი შეწყვეტა საზავო მოლაპარაკებისა საბჭოთა რუსეთთან გამოიწვევდა მეტათ ცუდ ხასიათის სირთულეს ორივე რესპუბლიკების ხალხებს შორის დამოკიდებულებაში; მომხდარ ამბების გამო მთელი პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში სომხეთის მთავრობას დაეკისრება. № 45. საბჭოთა მთავრობის რწმუნებული **ლეგრანი.**

მღელვარება ადერბეიჯანში.

საქ. პროფეს. კავშირთა ცენტრ. საბჭოს და ადგილობრივ საბჭოთა კონფერენციაზე ბაქოდან ჩამოსულმა ამხანაგმა მოხსენება გააკეთა ადერბეიჯანში მუშების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ:

პროფესიონალური კავშირები კარგი ხანია გადასცდენ ნამდვილ გზას. ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის საშუალება წართმეული აქვთ. წარმოების ყველა დარგებში ნაციონალიზაციაა მოხდენილი და მუშებს, როგორც სახელმწიფოს მოსამსახურეებს, აკრძალული აქვთ რაიმე მოთხოვნილებების წამოყენება. ამისი დამამტკიცებელია 16 ივლისის კრებები ბალახანში და სურახანაში, სადაც ნანეიშვილისა და მიკოიანის ხალხი ძალიან ცუდათ შეხვდა და იგინი იძულებულნი შეიქნენ მიტინგისათვის თავი დაენებებიათ. იმავე დღეს უნდა მომხდარიყო ეკონომიური მოთხოვნილებებისთვის საერთო გაფიცვა, მაგრამ „ჩერეზვიჩაიკამ“ ეს დროზე გაიგო და მიღებული ზომებით გაფიცვა შეუძლებელი გახადეს. ამის გამო დახვრიტეს 11 მუშა—სამი მაჰმადიანი, ორი სომეხი და ექვსიც რუსი. რვა საათის სამუშაო დღე დარღვეულია. მუშაობენ რამდენსაც უბრძანებს სარევოლიუციო კომიტეტი. შემოღებულია „სუბოტნიკები“, რომლის დროსაც მუშებს ამუშავებენ 4—5 საათს და არავითარ გასამრჯელოს არ აძლევენ. 8 საათზე ზედმეტი მუშაობისთვის არ არსებობს წინანდებური ერთნახევარი და ორმაგი ხელფასის მიცემა; აძლევენ მხოლოდ იმდენს, რამდენსაც ჩვეულებრივ საათებში. ზედმეტი მუშაობისთვის მუშებს ეძლევა ხაზინაში წარსადგენათ ჩეკები, რომლების განაღდებაც მეტად ძნელ საქმეს წარმოადგენს. ხელფასის საქმე დღევანდლამდის მოუწესრიგებელია. ამ საკითხში დიდი აზრთა სხვადასხვაობა არის მოსკოვისა და ბაქოელ კომუნისტების შორის. მოსკოვიდან ჩამოსულნი წინადადებას აძლევენ ადგილობრივ სარევოლიუციო კომიტეტს და შრომის სახალხო კომისარს ხელფასი განისაზღვროს 35 კატეგორიის მიხედვით, 2400 მანეთიდან—9600 მანეთამდე მაშინ, როდესაც შრომის კომისარი ჩურაევი წინადადებას იძლევა დაწესდეს იმავე კატეგორიებისათვის მინიმუმი 6400 მან., ხოლო მაქსიმუმი—16000 მანეთი. როგორც არა ოფიციალურ წყაროებიდან ვიცით, უკვე გამოტანილია გადაწყვეტილება მოსკოველ კომუნისტების დადგენილების დასატურების შესახებ. ამჟამად კი მუშებს აძლევენ ავანსის სახით 6000 მანეთს თვეში. სურსათი რაც კი მოხვდებათ ხელში, გააქვთ საბჭოთა რუსეთში. ჩურაევი მოითხოვს, რომ სურსათის გატანამდე უზრუნველყოფილ იქნან ადგილობრივი მუშები. მოსალოდნელია სურსათის არა რეგულიარულათ მიწოდების გამო მოხდეს სტიქიური გამოსვლები. პურის მიღებისთვის მცხოვრები დაყოფილნი არიან რამოდენიმე კატეგორიათ. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ფიზიკურათ მომუშავენი, რომლებიც იღებენ დღეში გირვანქა პურს, მეორე კატეგორიას—არა ფიზიკურათ მშრომელნი, რომელნიც იღებენ ნახევარ გირვანქა პურს. ყველა მათი ოჯახის წევრება შეტანილია მესამე კატეგორიაში და ეძლევათ სულზე ერთი მეოთხედი გირვანქა პური. დაწესებულ ნორმასაც დროზე ვერ იღებენ, ან კიდევ პურის მაგიერ იღებენ ბრინჯს და სხვა ხორბალს. უკანასკნელ დროს სურსათს თითქმის არ აძლევენ. ცხოვრება წესრიგდება „ჩერეზვიჩაიკის“ ბრძანებით და ვინც წინ აღუდგება ბრძანებების ასრულებას, მას აუცილებელი სასჯელი მოელის. ყოველ დღე იხვრიტება არა ნაკლებ 7—8 კაცისა. სასამართლოები არ არსებობს, გარდა იმისა, რომ უნის სასამართლოები არჩევენ ქურდ-ბაცაცების საქმეს. ყველა საქმეებს განაგებს „ჩერეზვიჩაიკა“, რომელშიაც გაბატონებულნი არიან მატროსები და საკმარისია, რომ იქ მიყვანილის სახე ამა თუ იმ მატროსს არ მოეწონოს და თუ ვინმემ სთქვა, რომ ეს „ყორანიაო“ ეს ნიშნავს, რომ მას უკვე დახვრეტა გადაწყვეტილი აქვს. ჯარის მდგომარეობა არ არის კარგი; ყველა საკითხები ჯარის ნაწილებში სწყდება მარტო კომუნისტური პარტიის წევრთა თითის აწევით. საერთოდ ჯარში მისი მიზნების დიდი შეუგნებლობაა. ჩამოსვლისას ჯარი დაგლეჯილი იყო, მაგრამ ეხლა კონფისკაციით შეკრებილ ან ნაძარცვი ტანისამოსით შემოსეს ჯარები. საზოგადოთ წითელ არმიელებს კარგათ უვლიან. ჯარში ხშირია ნაძარცვი საქონლით ვაჭრობა. მაღაზიაში რაიმეს შოვნა ძნელია, მედიკამენტები ძალიან მცირეთაა და ავადმყოფ მუშებს უხდებათ მიმართონ სოციალურ უზრუნველყოფის კომიტეტს, რომელიც ძალიან იშვიათად აკმაყოფილებს. პოლიტიკური თავისუფლებები მოსპობილია. კრების, სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლება არ არსებობს. განცხადებებიც კი უნდა წარედგინოს ეგრედ წოდებულ „კავროსტას“, რომელიც წარმოადგენს წინანდელზე უსასტიკეს ცენზურას. თეთრი პური ღირს 200—250 მანეთამდე გირვანქა. შავი—130—150 მანეთამდე. ერბო—3000—3500 მანეთამდე. კალბასი 200—250 მანეთამდე, ჭიქა რძე 50—60 მანეთი, კარტოფილი 30—35 მანეთი, შაქარი რაფინადი 1300—1400 მანეთი, ფხვნილი 800—900 მანეთამდე, ფეხსაცმელი 10000—35000 მანეთამდე. ჩვენი ფული 1000 მანეთი 4000 მანეთამდე ფასობს.

ჩვენ რესპუბლიკაზე მუშებში კარგი შეხედულება არსებობს, მხოლოდ ჯარში გავრცელებულია ჩვენი სიმდიდრის შესახებ ხმები. ჯარში დისციპლინა ძალიან მაგარია.

სახელმწიფო ბანკი *)

როგორც იქნა ველირსეთ და დიდი ხნის ლოდინის შემდეგ გაიხსნა ჩვენი სახელმწიფო ბანკი. სახელმწიფო ბანკის გახსნას დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ფინანსების მოწესრიგების საქმეში.

სახელმწიფო ბანკი მოაწესრიგებს ფულის ტრიალს; მას შეუძლია რამდენიმეთ შეასუსტოს ის ფულის კურსით თამაში, რასაც ეწევიან სპეკულიანტები და რაც ხელს უწყობს ჩვენი ბონების კურსის საშინლად დაცემას. სახელმწიფო ბანკი ხელს შეუწყობს ისეთი წარმოების განვითარებას ჩვენში, რასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

რასაკვირველია ყველა ამისთვის არ კმარა ის ორმოცდა ათი მილიონი მანეთი, რაიც ძირითადი თანხის სახით სახელმწიფო ბანკის განკარგულებაში არის გადაცემული, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბანკი შესძლებს თავი მოუყაროს თავის სალაროში იმ აუარებელ თავისუფალ თანხებს, რაიც ბონების სახით დაგროვილია და უსარგებლოთ ინახება სხვადასხვა ადგილას.

მაგრამ რომ სახელმწიფო ბანკმა შესძლოს თავისი დანიშნულების პირნათლად შესრულება, ამისთვის საჭიროა ის არ შესდგეს იმ ბიუროკრატიულ—ჩინოვნიკურ გზაზე, რაიც ახასიათებდა ძველ სახელმწიფო ბანკს. საჭიროა სახელმწიფო ბანკი დაუახლოვდეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. კოოპერატიული ბანკი, რომელიც რამდენიმე თვეა, რაც დაარსდა და მუშაობს, და მუნიციპალური ბანკები, რომელთა დაარსებას აპირებენ,—აი ის ორგანოები, რომელთა საშუალებითაც სახელმწიფო ბანკს შეუძლია გაიბას ქსელი რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე.

როგორი უნდა იყოს სახელმწიფო ბანკის დამოკიდებულება კერძო ბანკებთან?

გაზეთ „ბორბის“ № 166 ში ვინმე კ. მ. ურჩევს სახელმწიფო ბანკს გაუხსნას კრედიტი კერძო ბანკებსაც, „რომლებიც არ ეწევიან სპეკულიაციას და აშკარათ ემსახურებიან სახალხო მეურნეობის გაძლიერებას“. მაგრამ ვიკითხოთ, რომელი კერძო ბანკი იცის კ. მ., რომელიც სპეკულიაციას არ ეწევა და მიზნათ დაუსახავს სახალხო მეურნეობის გაძლიერება. ჩვენში არ არის ასეთი კერძო ბანკი. პირიქით, ჩვენებური კერძო ბანკები არა თუ ხელს უწყობენ სპეკულიაციის გაძლიერებას აშკარა სპეკულიანტებისათვის სესხის მიცემით, თვით ვაჭრობენ და სპეკულიაციის ბუდეთ არიან გადაქცეული. და რომ სახელმწიფო ბანკმა გაუხსნას კრედიტი კერძო ბანკებს, უკანასკნელნი ხომ სახელმწიფო ბანკიდან აღებულ ფულს გადიდებულ პროცენტით დაურიგებენ კერძო ვაჭარ-სპეკულიანტებს და ამნაირათ სახელმწიფო ბანკი ერთი მხრით საშუალებას მისცემს კერძო ბანკებს გაადიდონ თავიანთი შემოსავალი, ხოლო მეორე მხრით არაპირდაპირი გზით დაეხმარებიან სპეკულიანტებს და ხელს შეუწყობენ სპეკულიაციის განვითარებას.

თუ რომელიმე კერძო ბანკი ეხმარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის წარმოებას, დეე ასეთმა ორგანიზაციებმა და წარმოებებმა მიიღონ სესხი სახელმწიფო ბანკიდან ან პირდაპირ, ან საზოგადოებრივი ბანკების საშუალებით. ამ შემთხვევაში კერძო ბანკების შუამავლობა ზედმეტია.

სახელმწიფო ბანკის გახსნაზე ცენტრობანკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის დახმარებას უწევს რამოდენიმე ას წვრილ საკრედიტო ორგანიზაციებს და ამ მოსაზრებით იმედი გამოსთქვა, რომ სახელმწიფო ბანკი აღმოუჩენს ცენტრობანკს დახმარებას. რომელ წვრილ საკრედიტო დაწესებულებაზე ლაპარაკობდა ბ. გოთუა ჩვენ არ ვიცით. ვიცით კი ის, რომ ცენტრობანკის გარშემო თავს იყრიან ყველა ახლად გამოჩეკილნი, შემთხვევით გამდიდრებულნი „ვაჭარ-მრეწველნი“, რომელნიც არავითარ ღირებულებას სახელმწიფოსთვის არ ქმნიან. ამიტომ ჩვენ უნდა ვურჩიოთ ახალ დაარსებულ სახელმწიფო ბანკს შორს იდგეს კერძო ბანკებისაგან! არავითარი დახმარება მათ არ უნდა მიეცეს! დახმარება და მჭიდრო კავშირი საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან (ერობები, ქალაქები, კოოპერატივები) და იმ კერძო მწარმოებლებთან, რომელთა წარმოებას აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. დახმარება მათ ან პირდაპირ, ან საზოგადოებრივი (კოოპერატიული და მუნიციპალური) ბანკების საშუალებით.

ასეთი გზა უნდა აიღოს სახელმწიფო ბანკმა ამ თავიდანვე და მაშინ მოჰყვება მის მუშაობას სასურველი ნაყოფი და შეასრულებს თავის ნამდვილ დანიშნულებას. **ახლობელი.**

აკ. ჩხენკელი დუშეთის მაზრაში.

ორშაბათს, ნაშუადღევს დამფუძ. კრების სამხედრო კომისიის და სოც.-დემ. ფრაქციის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი დაბრუნდა თფილისში. მასთან ერთად დაბრუნდა რესპუბლიკის სანაპირო რაზმის უფროსი გენ. ახმეტელი. მათ დაათვალიერეს დარიალის საზღვარი და იქ მდგომი ნაწილები, აგრეთვე სხვა და სხვა ალაგას გაფანტული მათი სადგომები, საბაჟო და სხ. ყაზბეგში დეპუტატს დახვდა მთელი ადგილობრივი გარნიზონი და ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსული ხალხი სათემო ერობის გამგეობის მეთაურობით. პირველათ მან გაეცნო დაწვრილებით ჯარის კაცთა მდგომარეობას, ინახულა მათი ბინები და საავათმყოფო; შემდეგ ებაასა ხალხს და მისცა მას სათანადო განმარტებანი მრავალ სადღეისო კითხვებზე; ინახულა აგრეთვე გვარდიის შტაბი და ებაასა გვარდიელთ. ყაზბეგიდან დეპუტატი გაემგზავრა კობში და იქიდან ცხენებით— ტრუსოვის ხეობისაკენ, საიდანაც მეორე გზა გადის ჩრდილო კავკასიისაკენ. მასთან ახლდა, სხვათა შორის, სათემო ერობის გამგეობა, რომელიც აცნობდა მას ადგილობრივ ვითარებას. ტრუსოვის ხეობა დასახლებულია მარტო ოსებით, რომელთაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ჯავის ხეობაში მომხდარ ამბებში. დაბრუნებისას დეპუტატი ებაასა ბლომათ მოგროვილ ოსებს კობში. იქვე მან ინახულა სამხედრო ნაწილი, აგრეთვე ტრუსოვის ხეობაში. ფასანაურში დეპუტატს დახვდა დიდძალი ხალხი, იყვნენ გლეხები შორეულ სოფლებიდანაც, აგრეთვე საერობო და სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. კარგა ხნის ბაასის შემდეგ სხვა და სხვა კითხვებზე დეპუტატმა მიმართა ვრცელი სიტყვით ხალხს. დუშეთში დეპუტატმა წაიკითხა საჯარო ლექცია საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე. მან გაეცნო იქ სამხედრო ნაწილის მდგომარეობას, ბინებს, საავათმყოფოს და სხ. ინახულა გვარდიის შტაბი, ქალაქის და სამაზრო ერობის გამგეობა, ესაუბრა სოფლებიდან სხვა და სხვა საქმეებისათვის ჩამოსულ გლეხებს.

სამხედრო ტყვეების შესახებ

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებას მრავალი წერილები და შეკითხვები მოდის გერმანიაში მყოფ სამხედრო ტყვეებისათვის წერილების გაგზავნის წესების შესახებ, ამიტომ განყოფილება განმეორებით აცხადებს, რომ გაზეთებში გამოცხადებულ სამხედრო ტყვეებისათვის გასაგზავნი წერილები უნდა გამოიგზავნოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებაში; წერილზე აღნიშნული უნდა იქნას მხოლოდ სახელი მამის სახელი და გვარი ტყვესი. საინფორმაციო განყოფილება ყველა წერილებს დაუყონებლივ გადაგზავნის დანიშნულებისამებრ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიღებული აქვს აგრეთვე ზომები ავსტრიაში, ჩეხო სლოვაკიაში და სხვაგან დარჩენილ ჩვენი მოქალაქე სამხედრო ტყვეების ვინაობის და ადგილ-ყოფილობის გასაგებათ.

საინფორმაციო განყოფილება.

---

*) საკითხი ახალია და რედაქცია საჭიროთ სთვლის ადგილი დაუთმოს სხვადასხვა შეხედულებას. რედ.

მთებში და უღელტეხილებში

27 ივნისი, კეხოვანის მთა.

დილით ადრე ორი მიმართულებით ჩუბუხ-ნარიმ-ბაშას მთაში მზვერავთა რაზმები წავიდა, ერთი მოხეს „იაილებში“ და მეორე ქვაბის ჯვარის მიმართულებით.

მთელი ღამე წვიმა იყო. გამოიდარა და გზებიც გაშრა.

წასული მზვერავები მოხეს „იაილებში“ ბრბოს წააწყდნენ, რომლებმაც სროლა აუტეხეს ჩვენებს. ერთი საათის სროლის შემდეგ ჩვენმა მზვერავებმა ისინი გარეკეს. მათ მთის წვერებს შეაფარეს თავი.

11 საათზე გვეწვია გვარდიელების ბანაკში გენერალი ვაშაკიძე. მის მოსვლის შემდეგ არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ ახალციხიდან გენ. წულუკიძემ გადმოსცა ცნობა-ბათომი გადაეცა საქართველოსო.

ახალციხის ცნობას გვარდიელები „ვაშას“ ძახილით შეეგებნენ. გენ. ვაშაკიძემ გვარდიელებს სიტყვით მიმართა და მიულოცა საქართველოს ასეთი გამარჯვება.

სროლამ თანდათან იკლო და მიწყდა.

დაღამდა. მშვენიერი ღამეა. მოწმენდილი ცა ვარსკვლავებმა დაამშვენეს. მთვარემ მორცხვათ გადმოხედა ქვეყანას და დიდი ხნის მალვის შემდეგ თავისი მომცინარე სხივები დააფრქვია ქვაბულინ-ჩაის მშვენიერ ხეობას.

იშვიათი სურათი გვეშლებოდა წინ. მთაზე ციოდა, ჩვენ ვიჯექით და შევცქეროდით დიად სანახაობას. შორიდან შემოსასვლელ კარებთან მოდარაჯესავით მოსჩანდა ძველი მონასტერი ზარზმი, აქა იქ ტყეებში და მთებში ჩვენს ჯარებს ბანაკებში ცეცხლი ენთოთ. მაღალი ჩუბუხ ნარიმ-ბაშის მწვერვალები, ჯიშირის, ხალხამას, სადი-წყაროს და წვინთას მთები დადუმებულ ხეობას დასცქეროდნენ. ტყეში თავ-ჩაქინდრულნი ნაძვის ტოტები დაფიქრებულიყვნენ, ეძინათ სოფლებს, მდინარე ქვაბულინ-ჩაი ჩვეულებრივათ მიმღეროდა... მღეროდა და მის სიმღერას დაბლა ხევში ურთდებოდა ძლიერი ხმაურობით ხორხუ-სუს მაღალი მთიდან მოცქრიალე ჩანჩქერი.

ბუნების საიდუმლოებას ვერ მოშორდებოდა ადამიანი, მაგრამ ჩვენ მაინც ბათომზე ვფიქრობდით...

ბათომი ძვირად ღირს... იქ მივიღეთ რევოლიუციონური მირონ-ცხება, იქ ვისწავლეთ თავისუფლებისათვის ბრძოლა...

ბათომი მოგვტაცეს...

დედას წაართვეს შვილი...

შვილს დედის ალერსი მოუსპეს... მაგონდება საყვარელი წარსული... იქ დაეცნენ პირველად თავისუფლებისათვის თავგაწირულნი...

იქ, ანარიის ციხე-ფორტზე დაიმარხნენ სამშობლოს მოდარაჯენი...

ბათომი დღეს გვიბრუნდება, ჩვენი თავისუფლების სავანე!...

28 ივნისი.

მტრის მდგომარეობის გამოსარკვევათ ორი მიმართულებით წავიდა ტყვიის მფრქვევლებით მზვერავთა რაზმი თვით პოლკ. ღლონტის ხელმძღვანელობით და თან წაჰყვა ამხ. გ. ფალავა. მ თ მოხეს „იაილები“ და დიდი აჭარის მახლობელი ადგილი მშვიდობიანათ დაიჭირეს, ჩვენებს მტერმა სროლა აუტეხა. სროლა დილის 12 საათზე დაიწყო. თანდა თან გაძლიერდა. ცნობას მიღებისთანავე ჩვენ ქეჭლის „იაილებისაკენ“ გავეჩქარეთ. სადარაჯო რაზმმა გაგვაგებინა, რომ მზვერავებს თავს უვლიანო.

ქეჭლის „იაილებში“ შესვლისთანავე შუაში სროლამ თან და თან იკლო, მხოლოდ ჩვენ „იაილებიდან“ გასვლისთანავე წვინთის ქედიდან სროლა აგვიტეხეს და ტყვიები დაგვაყარეს. სროლა ცოტა ხანი გაგრძელდა, თანდათან მიწყნარდა, რადგანაც როგორც მზვერავებს ჩვენ აღარ გვიპასუხნია. მოწინააღმდეგე კი შეუდგა მუშში გამაგრებას და სანგრების თხრას. მათი ძალების გამორკვევა ძნელი იყო.

29 ივნისი.

ჩვეულებრივი ზვერვა გრძელდებოდა მთელი დღე. დარცეული დაიჭირა რევოლიარულმა ათასეულმა და მათ სადარაჯომ წინ წაიწია. ყველგან მუშში დრო გამოშვებით ისროდნენ.

30 ივნისი.

დღემ წყნარად ჩაიარა. საღამოს კიკიბოს მხარე ახმაურდა. რევოლიარულ ნაწილიდან გაგზავნილ მზვერავებს მოწინააღმდეგემ სროლა აუტეხა. სროლა დაბინდებისას შეწყდა.

1 ივლისი.

სროლა დილით ადრე განახლდა ქვაბის-ჯვარის მიმართულებით რევოლიარული ნაწილების მზვერავებთან. მტერმა ძალა შეაგროვა და მათი ხელში ჩაგდება განიზრახა. შუადღეზე ბრძოლამ იმატა. მოწინააღმდეგენი ესროდნენ ბომბებს.

გვარდიის მზვერავებმა, მარცხნით, მოხეს მხრიდან მოუარეს. ბრძოლა ნაშუადღევის 5 საათზე გათავდა. მტერი გაჩერდა თავის პოზიციებზე. ბრძოლაში მოჰკლეს რევოლიარული ნაწილის აფიცერი შალვა გიგინეიშვილი, ჯარისკაცები: რაჟდენ ალ. გაბუნია, სოლომონ თედ. კაჭაკაძე და დასჭრეს მძიმეთ მესხეთელი გვარდიელები: სერონ გოზაშვილი, გაბრიელ ბაღდოშვილი. ჯარისკაცნი: მელიტონ ქიქილეიშვილი, ვარლამ ჩუბინიძე და სიმონ ახალაძე.

მოწინააღმდეგეს მოუკლეს რამდენიმე კაცი.

2 ივლისი.

დილით ადრე დერცელიდან რამდენჯერმე გაისროლეს სარბაზნიდან. შეიმჩნეული იქნა, რომ მტერი ძალებს აძლიერებს და მუშში სანგრებს სთხრიან. თვით ჩვენს წრეებში ლოდინი გრძელდება, მაგრამ ლოდინის ხელისშემწყობი განწყობილება შერყეულია. იჩქარიან ბრძოლისათვის განკარგულებას. ასეთია ფსიხოლოგია მეომარისა, შეიარაღებულისა...

საღამოს ახალციხიდან ამხანაგი გველაპარაკა საველე ტელეფონით და გვაცნობა უკანასკნელი ცნობები: ბათომში ჩვენი წარმომადგენლები შევიდნენ, ქობულეთში ჩვენს ჯარს პურ-მარილით შეხვდნენ და სხვა და სხვა. ეს ცნობები ჩვენთვის სასიამოვნო იყო, მხოლოდ მთავარი ფრონტი გორდეძე ემზადებოდა.

3 ივლისი.

ღამით ჩუბუხ-წარიმბაშის მარჯვენა ფრთაზე მოწინააღმდეგეთ ცხენოსნები დაემატა.

ახლო-მახლო „იაილები“ ხალხისგან დაიცალა. დილით საგარეო მსვლელობისათვის ძალების განაწილება მოხდა.

საღამოს ცნობა მოვიდა, რომ ხულოში აჭარის ხალხის წარმომადგენლებმა დაადგინეს საქართველოს მთავრობას დელეგაცია გაუგზავნონ და ჯარების შესვლას მშვიდობიანად შეეგებონ. გვატყობინებდნენ აგრეთვე, რომ ავანტიურისტების გავლენა ეცემა. ხალხი სოფლებს უბრუნდება, ყველა საქართველოს ჯარს ელისო. საერთოდ მდგომარეობა ყველგან გამოიცვალა... მივიღეთ მთავრობის და გენ. კვინიტაძის მიმართვა აჭარის მცხოვრებთა მიმართ.

4 ივლისი.

კარგი არას მთაში ცხოვრება, მაგრამ მოწყობილი თუ ხარ: მუდმივ სიცივეა. დილა მზიანი გათენდა, თუმცა ციოდა და ქარი უბერავდა. დილის 10 საათზე ფრონტის სარდალი გენერალი ვ. გ. წულუკიძე გვესტუმრა. იგი მიესალმა გვარდიელებს და უსურვა გამარჯვება. თავის მოკლე სიტყვაში გენ. წულუკიძემ აღნიშნა ბათომისაკენ მოძრაობის მნიშვნელობა.

შემდეგ ის დერცელისაკენ გაემგზავრა.

გენერალი წულუკიძე! გულწრფელი ადამიანი, საქმის მოყვარული, დაუღალავი, მხნე, ძველი—გამოცდილი სარდალი, თავისი ქვეყნის ერთგული შვილი!

მას უყვარს გვარდია, ჯარი... ჯარისკაცებს და გვარდიელებს უყვართ ჭაღარა გენერალი. დარცელში წასვლისას მას გამარჯვება უსურვეს... დღემ სრულიად წყნარად ჩაიარა. არსად, არც ერთი თოფი არ გასროლილა...

ეს იყო პირველი შემთხვევა ჩვენს ფრონტზე...

ღამის 10 საათზე ცნობა მივიღეთ, რომ ბათომში საქართველოს ჯარები შევიდა, რომ ყველგან მათ ხალხი პურ-მარილით ეგებება და სხვა. ცნობას შესაფერი სიხარული მოჰყვა. გაისმა ვაშა რასაც ჯვინთის მწვერვალიდან მოწინააღმდეგე სროლით გამოეხმაურა.

5 ივლისი.

ჩუმუხ-ნარიმბაშის მუხში, წვინთა-კამარას მწვერვალებში, სადაც „სედაიმილეთის“ რაზმების პოზიცია-სანგრებია, მოძრაობაა დილიდანვე. სანგრებიდან ამოდიან, მიდიან იქით-აქეთ მთებში. ჩვენის მხრით კი, თანახმად განკარგულებისა, მზვერავათა მოძრაობა შეჩერებულია.

ხულოდან ცნობები მივიღეთ, რომ ხალხი იჩქარის—საჩქაროთ მოხსნას „სედაიმილეთის“ ავანტიურისტთა რაზმები, რადგანაც ეშინიათ სამხედრო მოქმედების; მთელ დიდ—აჭარაში, ღორჯომში იმართება კრებები.

ხულოს სახალხო კრებას დაუდგენია, რომ რაც შეიძლება მშვიდობიანად მიიღონ საქართველოს ჯარი.

დაბინდებისას ჩუბუხ ნარიმ-ბაში მარჯვენა ფრთაზე მტრის დიდი რაზმი გამოჩნდა, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ კარმარის მიმართულებით წავიდა.

ღამით ცნობა იყო, რომ ხულოდან მოდის დელეგაცია და ითხოვენ ჩვენი ჯარების შეჩერებას დელეგაციის მოსვლამდე.

6 ივლისი.

დღე მოღრუბლული გათენდა. ყველგან მდუმარებაა. მე და რამდენიმე ამხანაგი წვინთასაკენ წავედით. გავიარეთ წვინთას ძირები და კარმარასაკენ გადავიარეთ. „იალუშში“ აღარავინაა, დაცარიელებულია. ადგილობრივი ხალხი თავისი ნახირით სოფლებში დაფანტულიყო. იმათ სანგრებიდან თითო ოროლა კაცი მოსჩანს. არც წინ იწევიან და აღარც თოფს ისვრიან. 1 საათზე არტილერისტებთან ვიყავით. არტილერია სდგას კარმარასთან და მათ ტყვიისმფრქვეველთა პოზიციებს მისჩერებია. კარმარა ფაქტიურად აღებულია. წინ მაღლობში ჯარისკაცების სადარაჯოებია. თოვლის მახლობლად ზოგიერთებს სძინავთ. არტილერისტები კარგათ გამოიყურებიან. შეგვეკითხნენ საქმეების საერთო ვითარებაზე. ერთმა მათგანმა მწუხარებით მოიგონა სამი დღის წინეთ ბრძოლაში დაკარგული შ. გიგინეიშვილი.

ყველა აღიარებს მის ვაჟკაცობას, თავგანწირვას, რომ ეს იყო საუცხოვო ახალგაზრდა...

კასმარას მარცხენა ფრთიდან ჩვენს წინაშე იშლება სრული სურათი—კამარა, წვინთა, ჩუბუხ-ნარიმ-ბაში მთებისა. ყველგან მათი სანგრებია, სრულიად თანამედროვე სამხედრო ხელოვნების მიხედვით. ცხადია, რომ ეს მთები, თავისი ბუნებრივი მდებარეობით ძნელი გადასალახავია, მაგრამ ჩვენებს ეს ერთი დღის საქმეთ მიაჩნიათ.

2 საათზე უთხის-უბნიდან გავედით, გავიარეთ უდაბური ტყე და სოფ. ქეჭლიაში შევედით. სოფლელები შეგვეკითხნენ, როდის შეიძლება მთებში საქონლის გარეკაო. ჩვენმა პასუხმა ისინი დააკმაყოფილა.

ღამით ისევ ჩვენს კარავში ვიყავით. ცივი წვიმა მოდიოდა და დასველებულნი ველოდით წვიმის გადაღებას.

კარგი ხანია, რაც ასეთ ცხოვრებას შევეჩვიეთ.

მთელი ღამე ცუდი დარი იყო. ცივი ქარი სულს გვიწუხებდა.

7 ივლისი.

დღე მოწყენილი იყო. გვარდიელები სდუმან, რადგანაც წვიმას მათთვის ჩვეულებრივი სიხალისე წაურთმევია. მთებში სრული სიწყნარე ჩამოდგა... ირგვლივ არაფერი მოსჩანდა, რადგანაც ნისლმა გააშავბნელა მთელი მიდამო.

ობოლი მგზავრი.

ს. დ.-პარტიაში

ნავთლუღი. 29 ივლისს შესდგა მე-7 რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, 2) მოხსენება შტაბის სარევიზიო კომისიისა, 3) მოხსენება კლუბის დროებითი გამგეობისა, 4) პარტიული შეიარაღების კომისიის მოხსენება, 5) მდივნის შესახებ. თფილისის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ევტიხი ლორია. მოხსენება მიღებული იქნა ინფორმაციის სახით. სარაიონო შტაბის სარევიზიო კომისიიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ალ. ჯანგიძე, რაც, ე. ი. მოხსენება მიღებულ იქნა ცნობათ. კლუბის დროებითი გამგეობის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. აქ. რაზმაძე, რომელიც, აცნობს რა სხდომას კლუბის მიღებას მისი დროებითი ინიციატორებისაგან, სურვილს გამოსთქვამს კომისიის სახელით, რომ კლუბი გადაეცეს პროფესიონალურ კავშირებს. მცირე კამათის შემდეგ კოლექტივი ადგენს: „კლუბი, როგორც ასეთი, გადაეცეს პროფესიონალურ კავშირებს და შტაბს; სახელწოდება მიეცეს მას „მუშათა კლუბი“, დირექტივებს მუშაობისას „მუშათა კლუბი“-ს გამგეობას აძლევს კოლექტივი. პარტიული შეიარაღების კომისიიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. რაზმაძე, რის შემდეგ კოლექტივმა დაადგინა დამტკიცებულ იქნეს სია 100 კაცისა პარტიული შეიარაღებისათვის. მდივნის შესახებ დაადგინეს: სანამ ყოფილი მდივანი ამხ. სარჯველაძე არ დაბრუნდება, —ევალება ნავთლუღის რკ. გზ. რაიონის მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის მდივანს ამხ. სასანიძეს დროებით გასწიოს მდივნობა. **ქ. ხაბანაძე.**

მუშათა შორის

ჩაქვი. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთვის ჩაქვის მამულს. 500 დესეტინა ჩაი, ბამბუკი, მანდარინა და სხვა მცენარეთა ბაღები დიდ ღირებულებას წარმოადგენს. ამ სიმდიდრეს ესაჭიროება მოვლა პატრონობა, სჭირია გაძღოლა, რომ შრომამ შესაფერი ნაყოფი გამოიღოს. არ კმარა მარტო გამგე და მისი თანაშემწე. საჭიროა შტატი მოსამსახურეებისა სათანადო დონეზე იდგეს, იცავდეს მამულის და ჩვენი რესპუბლიკის ინტერესებს, მაგრამ რას ვხედავთ? მოსამსახურეებათ არიან გუშინდელი დენიკინელები, რომელნიც ძირს უთხრიდნენ ჩვენს სახელმწიფოს; სცემდნენ ჩვენს პრესტიჟს ჩვენი მოძმე ქართველი მუსულმანების თვალში. ამ გუშინდელ კონტრ-რევოლიუციონერებს (ყველაზე არ ვამბობთ) მამულის კეთილდღეობა როდი აინტერესებთ. რამოდენიმე მათგანმა ყოფილ მამულის გამგის წყალობით აგარაკები და სხვა უძრავი ქონება შეიძინეს ჩაქვის მამულით. ასეთი კადრი მოსამსახურეებისა, თუ მთლათ არა, რამოდენიმეთ მაინც უნდა შეიცვალოს. რასაკვირველია, კულტურული ძალები დარჩებიან, მაგრამ უნდა გამოიცვალოს ის „ჩინოვნიკები“ და „მოსამსახურენი“, რომელნიც ბათომის დატოვების შემდეგ დაეუფლენ გადმოხვეწილ ქართველი მოსამსახურეების ადგილებს. მოგეხსენებათ, ათი-თხუთმეტი წელი ერთ ალაგას სამსახური, შეჩვევა ადგილობრივ პირობებთან და შემდეგ მოულოდნელათ მოშორება ძლიერ ძნელია. ამიტომ გამგემ და თვით მიწათ-მოქმედების სამინისტრომ უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება და ხელი შეუწყოს ყოფილ ქართველ მოსამსახურეების დაბრუნებას, რომელნიც ამ ჟამად გაფანტულნი არიან საქართველოს სხვადასხვა ადგილებში და უმეტესად გურიაში. ქართველი მოსამსახურეები დიდ როლს თამაშობდენ რევოლიუციამდე და მას შემდეგაც; მეთაურობდენ მუშებს, მათი წყალობით ჩატარდა რამოდენიმე გაფიცვა ცარიზმის დროს გამარჯვებით. აგრეთვე დიდ მონაწილეობას ღებულობდენ განმანათლებელ საქმეში, ბიბლიოთეკის დაარსებაში, კოოპერატივის აღდგენაში და სხვა.

მაგრამ განსაკუთრებით მიუძღვით მათ ღვაწლი ქართველი მუსულმანებთან დაახლოვების საქმეში; ისინი მუშაობდენ მათში, ეწეოდენ კულტურულ მუშაობას. ერთი სიტყვით, ხელს უწყობდენ მათ გათვითცნობიერებას. ასეთი ელემენტები დიაღაც ძვირფასია და მათი დაბრუნება აუცილებელიცაა და სასარგებლოც. ამას მოითხოვს როგორც მამულის, ისე სახელმწიფოებრივი ინტერესები.

ყოფილი მოსამსახურე.

საბურთალო

ამ ოცი წლის წინად საბურთალოზე გადმოსახლებულან თათრები, რომელნიც მისდევენ მიწის დამუშავებას. მამული, რომელზედაც მუშაობდნენ თათრები და ადგილობრივი მცხოვრები ქართველები, ეკუთვნოდათ გაბაშვილებს და სხვა მემამულეებს. ეხლა კი ეკუთვნის ერობას. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მათ, გაიგეს რა, რომ თავისუფალი ცხოვრება და მასთან მიწების ერობიდან აღება ძალიან მცირე გადასახადით იყო ხელსაყრელი, ბევრი თათრები სხვადასხვა მხრიდან მოაწყდა ჩვენს სახელმწიფოს. სხვათა შორის, ბევრნი დასახლდნენ საბურთალოზედაც. ამ გადმოსულებმა აიღეს ერობიდან სახნავი მიწები შარშან, დახნეს და თითქმის სულ უმიწოთ დასტოვეს ქართველები და ძველი თათრები. წელსაც ჯერ არ მომკილიყო ზემოხსენებულ მინდვრებზე ყანები, რომ ზოგიერთ ახალ მოსულ თათრებს უკვე ერობიდან აღლოთ ქაღალდი და აი, თან იმკებოდა პური და ზედაც გუთანი გადიოდა. ეს რომ გაიგეს ძველმა მობინადრე თათრებმა და ადგილობრივმა ქართველებმა, დაფაცურდნენ და ძლივს შეაჩერებინეს გუთნები ახალ მოსულ თათრებს. აი ამ მიზნით შესდგა საბურთალოზე 17 ივლისს კრება ადგილობრივი მცხოვრებლებისა, დაესწრო ერობის წარმომადგენელი ზ. კილოსანია. კრებამ მიწის მსურველნი მომუშავეები გაჰყო სამ კატეგორიათ: 1) ადგილობრივი ქართველები; 2) ძველი მობინადრე თათრები და ბოლოს 3) ახალ მოსული თათრები. ამათ იმ პირობით უნდა მიეცეს ადგილი, თუ სხვაგან არ აქვს ადგილი და შეუძლიან თითონ იმუშაონ. და რომ კრება შეცდომაში არ შესულიყო, აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა გამოძიება, თუ ვის აქვს სხვაგან მოსახნავი ადგილი ზემოხსენებულ კატეგორიებში, ან ვის შეუძლიან მიწის დამუშავება. სამწუხაროდ, ზოგიერთი ახალ გადმოსახლებული თათრები, რომელთაც ერობიდან უკვე აღლოთ ნებართვა მიწების დასამუშავებლათ, რომ არავის დაესწროთ მიწების დახვნა, მიუხედავათ კომისრის გამოცხადებისა, ჩუმათ ხნავდნენ. ეხლაც, როცა კრებაზე ხალხმა გამოიტანა დადგენილება, რომ ხვნა უნდა შეჩერებულიყო საქმის გამოკვლევამდე. ერობის წარმომადგენლის თვალწინ გამოხტა ერთი ნებართვით ხელში და ამაყურათ იძახდა: „მე მაინც მოვხნავ, თუ გინდა მომკლათო“. ერობის წარმომადგენელმა უთხრა: „არ შეგიძლიან მოხვნაო“. მაგრამ არიან თავგასული და ბრიყვები, რომელთანაც სიტყვით ვერაფერს გახდები და აი, ეს პირები ღამეც კი ხნავენ. მომავალმა კრებამ უნდა დასაჯოს ურჩები და სრულიად არ მისცეს ადგილი მოსახნავათ.

X.

პროვინცია

სურამი. 21 ივლისს, საღამოთი სურამის ს.-დ. კომიტეტის თაოსნობით მოწვეულ იქნა ქალაქის ბაღში მრავალრიცხოვანი საჯარო მიტინგი ამხ. სარდიონ მამალაძის თავმჯდომარეობით და ამხ. ვ. მურმანიშვილის მდივნობით, რომელზედაც დამფუძნებელი კრების წევრმა ამხ. ის. რამიშვილმა გააკეთა ვრცელი მოხსენება თანამედროვე მომენტზე. მომხსენებელმა დამსწრეთ გააცნო დაწვრილებით ყველა ეტაპები, რაც კი ჩვენმა ხალხმა განვლო რევოლიუციის პირველ დღიდან დღემდე, აღნიშნა თანდათანობით კომისარიატის, სეიმის და შემდეგ ჩვენი პარლამენტის მოღვაწეობა, ბრძოლა გარეშე მტერთან და შინაურ ანარქიასთან, დამფუძნებელი კრების მოღვაწეობა, მთავრობის პოლიტიკა და მეზობლებთან დამოკიდებულება.

ილაპარაკა აგრეთვე ბოლშევიკებზე. დასასრულ წაკითხულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ხალხმა ერთხმად მიიღო: „სურამის მრავალრიცხოვანმა საჯარო მიტინგმა 21 ივლისს მოისმინა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ის. რამიშვილისა თანამედროვე მომენტზე და, მიიღო რა მხედველობაში დამფუძნებელ კრების დადებითი მუშაობა, ხალხის საკეთილდღეოთ გაწეული და მთავრობის ბრძნული, შორსმჭვრეტელი პოლიტიკა, რომელმაც გვიხსნა ბევრგვარ განსაცდელისაგან და შეგვინარჩუნა დამოუკიდებლობა, დაადგინა: მიტინგი სალამს უძღვნის დამფუძნებელ კრებას და მთელი ერის ბელადს ნოე ჟორდანიას და ფიცსა სდებს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძოლებს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად. სალამი საუკუნოებით დიდა საქართველოზე უსამართლოდ მოწყვეტილს და დღეს ჩვენთან შეერთებულს სამუსლიმანო საქართველოს“

Jeuox.

სოფ. დიღომი (თფილისის მაზრა) დიღმის ცუდი მდგომარეობის შესახებ ბევრი ლაპარაკი შეიძლება, მაგრამ მოვიყვან ორიოდე მნიშვნელოვან მაგალითს, რათა გაიგონ, თუ რა არის მიზეზი დიღომელების მიძინებისა, ხალხი დროსა ჰკარგავს და არ იძენს ცოდნას, თუმცა მინიჭებული აქვთ თავისუფლება, და თავისუფლათ შეუძლიათ სწავლა-განათლება; ხელის შემშლელი თითქოს არავინ უნდა იყოს. მაგრამ აქ სულ სხვა მიზეზია; არიან პირები რომლებიც ძველებურათ ჰყვლეფენ ბეჩავ გლეხებს (სოფლის მუშებს), ისინიც ისე შეჩვეულან, რომ არ გეტყვის მუშა არაფერს თუ გინდ პერანგიც გახადო.

ავიღოთ ჯერ ერთი მაგალითი—დიღმის სკოლა; ეს სკოლა ისე არის გახუნებული შიგნიდან და გარედან, რომ მტერსაც კი ჯავრი მოუვა. ბევრი იტყვის, რომ ეს სოფლის ბრალია—იმან უნდა შეაკეთოსო. მაგრამ ვინც იცის საქმის შინაარსი, ის ამას არ იტყვის.

1919 წ. სოფ. დიღომში მოაგროვეს ფული სკოლის შესაკეთებლათ,—შეგროვილი იყო 52,000 მან., რომლითაც მაშინ მშვენივრათ შეკეთდებოდა სკოლა მაგრამ, როგორც დამარწმუნეს ბევრმა, ეს ფული შეჭმულ იქნა ერთ-ერთ სოფლის ბრბოსაგან, სკოლას მარტო მოახმარეს 2,000 მან. და 50,000 მან. კი შეულაპეს სხვებმა.

არც ერთ კარს საკეტი არა აქვს, დღე თუ ღამე სულ ღია არის, ჰერი კიდევ ბევრგან არის ჩამტვრეული. ბევრჯელ ისეთ სისაძაგლეს შეხვდება სკოლაში კაცი, რომ ტვინი აენთება ჯავრით.

მეორე მაგალითი: სოფელს ჰქონდა საკუთარი კოოპერატიული დუქანი, რომელიც თავიანთი საკუთარი ფულით დაარსეს 1917 წელს; მშვენივრათ აწარმოებდა საქმეებს. საქონელიც ბევრი ჰქონდათ, ერთი საკუთარი ცხენიც ჰყავდათ. შემდეგ თემელებმაც მოინდომეს დუქნის გახსნა, მაგრამ ვერაფერი შეიძინეს და ჰქონდათ ყოველთვის სავაჭრო ცარიელი.

თემელებს თურმე მოეწონათ სოფლის კოოპერატიული დუქანი და მალე მაცდურებივით შეუჩნდნენ, მოტყუილებით შეუერთეს თავიანთი ცარიელი დუქანი სავსე სოფლის დუქანს და დაიწყეს თვითონ წარმოება. არ გასულა რამოდენიმე დრო, რომ დუქანს დაეტყო თანდათან დაცალიერება და ახლა ხომ შიგ არაფერი არის. მარტო დღეში ერთი „ტაჩკა“ პური მოაქვთ, რომელიც ყოველ-დღე არც კი სჭირდებათ! დუქანში აქვთ ცოტა პაპიროსი და სხვა. ისე რომ, სოფლის საქონელი და ნაღდი ფული სულ შეჭმული არის. სამაგიეროდ აღარ მოაქვთ, ან როგორ-ღა მოიტანდენ? სოფლის ცხენსაც თვითონ ამუშავებს. ასე რომ წაღებით ბევრი მიაქვთ და გაკეთებით კი არაფერია გაკეთებული. სოფელმა მხოლოდ ბოლოს გაიგო, ისიც ნაწილმა, რომ ერობა სხვა ყოფილა და თემი კიდევ სხვა. ისიც მიხვდნენ რომ, ერობამ კი არა, თემმა შეუჭამა საკუთარი დუქანი.

საჭიროა დიღმისთვის სინდისიერი პატრონი, რომელიც მათ გამოაბრუნებს და გონზე მოიყვანს. იმედია, ერობა ყურადღებას მიაქცევს ყველასაგან მივიწყებულ დიღომს.

ასოთ-ამწყობი **ილ. ხონდულაშვილი.**

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

დიდი-ჯიხაიშის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი
აცხადებს, რომ მას სჭირდება მომავალი სამოსწავლო წლიდან ორი საერთო განათლების საგნების მასწავლებელი და ერთი ახალი ენის. ჯამაგირები გაკვეთილების და ცენზის მიხედვით.

მისამართი: დიდი-ჯიხაიშის უმაღლეს დაწყებითი მასწავლებლის გამგეს.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი—ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჰიით ცხვირის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ენდოსკოპია (საშარდე მილის). ნოვო ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 [illegible] 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი
ქ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი ივ. გოკერია
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და სააკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.

ექიმი მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“; ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღას ქ. № 33. (1288 2—4)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 თ.

ექიმი ლ. ა. სარალიძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო (2383—თ.)

ექიმი
გენრიხ ისააკის ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის). ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი
ბ. ი. ოყროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი
[illegible] ისააკის ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (1742 —)

საქართველოს ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში

1) **მთავარ მაღაზიაში**—კიროჩნი ქუჩა და მის **განყოფილებაში.**

2) **რუსთაველის პრ.** (გოლოვინის) ფოსტა-ტელეგ. მთავ. კანტორ. პირდაპირ და

3) **კახეთის მოედანზე**—ავლაბარში.

მიიღებულია და ექლევათ წევრებს:

1) საპონი
2) მაკარონი
3) ვერმიშელი
4) მარილი
5) ასანთი
6) ბრინჯი
7) გილზები
8) პაპიროს. ყოველნაირი
9) შაქარი
10) ჩაი
11) მანუფაქტურა
12) კონიაკები.

არა წევრთ:

1) ღვინოები—ყველა ხარისხის მიწათ-მოქმედ. სამინისტრ. საუფლისწულო მარნიდან, ძრიერ ნაკლებ ფასებში.

2) ყველა სხვა ფირმების ღვინოები.

3) პარფიუმერიის განყოფილებიდან და სხვა.

მთავარ მაღაზიასთან არის განყოფილებანი: საუზმსაცმელო და მკერვალთა სახელოსნო ტანთ-საცმელის, სადაც შეიძლება დაკვეთა მხოლოდ წევრთათვის, წევრების ჩაწერა—კიროჩნი ქ. მე-3 სართული, 8—2 საათამდის. გამგეობა.

(ნ. 10—1)

დ. ახალქალაქის

(გორის მაზრა) უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელში **საჭიროა ორი გამოცდილი**, შესაფერ ცენზიანი **მასწავლებელი.** პირობების გასაგებათ მსურველებმა უნდა მიმართონ გორის სამაზრო ერობის განათლების განყოფილების გამგეს.

დ. ახალქალაქში (გორის მაზრა) გახსნილია სამაზრო ერობის მიერ 1919 წლიდან სრულუფლებიანი ოთხკლასიანი უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი. წელს მოწაფეები მიიღებიან განურჩევლათ სქესისა I და II კლასებში გამოცდებით, ან და სასწავლებლიდან მიღებულ მოწმობების მიხედვით.

სწავლა უფასოა. გარდა ამისა ერობიდან მოწაფეებს მიეცემათ სხვა დახმარებებაც. სკოლის გამგე **შ. გუტიკაშვილი.** (2532—1—1)